http://www.tsu.ge/newspaper

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან



მე-3 გვერდზე

თსუ-ში უნივერსიტეტის დაარსების დღე აღინიშნა

ახალი ეპოქა

უნივერსიტეტი

6 მარტი, პარასკევი, 2009 წ. №3 (2085)

2008 წლის სამეცნიერო აქტივობის სტატისტიკური ანალიზი

19 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტმა უნივერსიტეტის აკადემიურ საზოგადოებას 2008 წლის სამეცნიერო აქტივობის სტატისტიკური ანალიზი წარუდგინა.

მაია ტორაძე

პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე, თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა, რუსთაველის ფონდის დირექტორი თინათინ ბოჭორიშვილი, ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო პროგრამების მართვის სამმართველოს უფროსი რევაზ ასათიანი.

სტატისტიკური ანალიზი თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსმა იაგორ კალანდაძემ წარადგინა. ანალიზის შედეგად გაირკვა:

2008 წლის მონაცემებით სულ ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენილი იყო 757 საგრანტო განაცხადი. კონკურსიდან მოიხსნა 141, დაფინანსდა 161 განაცხადი. მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარადგინა 125 განაცხადი, დაფინანსდა — 27.

რუსთაველის ფონდში წარდგენილი იყო 263 განაცხადი, დაფინანსდა 45, მათ შორის თსუ-დან წარდგენილი 38 განაცხადიდან დაფინანსდა — 8.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან წარდგენილი და დაფინანსებული განაცხადები ფაკულტეტების მიხედვით ასე გამოიყურება: ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან წარდგენილი 109 პროექტიდან დაფინანსდა 26; ჰუმანიტარული ფაკულტეტიდან წარდგენილი 26 პროექტიდან დაფინანსდა 7; იურიდიული ფაკულტეტიდან წარდგენილი 2 პროექტიდან დაფინანსდა 1; მედიცინის ფაკულტეტიდან წარდგენილი 16 პროექტიდან დაფინანსდა 1; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან წარდგენილი 6 პროექტიდან არც ერთი დაფინანსდა; ასევე არ დაფინანსდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან წარდგენილი 4 პროექტი.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაფინანსებული პროექტების მიხედვით საქართველოში უპირობო ლიდერია. რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებულ თსუ-ის 8 პროექტს მოსდევს არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი და ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი 4-4 დაფინანსებული პროექტით, ხოლო ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ თსუ-ის 27 პროექტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, შესაბამისად, 12 და 6 პროექტით.

მე-2 გვერდზე

თსუ ირჩევს ივანე ჯავახიშვილს



საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადაცემა „საქართველოს დიდ ათეულში“ პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი და ისტორიოგრაფიის პატრიარქი ივანე ჯავახიშვილი იმ 50 შერჩეულ გმირს შორისაა, რომელთაგანაც ქართულმა საზოგადოებამ ყველა დროის ცნობილი ათეული უნდა შეადგინოს. გადაცემაში ივანე ჯავახიშვილის კანდიდატურა 6 მარტს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა მიხეილ ქურდიანმა ღირსეულად წარადგინა.

ივანე ჯავახიშვილის საერთო რეიტინგი ასე გამოიყურება: ვებ რეიტინგი — 2783 ხმა 2,3%, SMS რეიტინგი — 135 ხმა 1,1 %, ჯამური რეიტინგი: 2918 ხმა 1,4 %.

ნატო ოგოლაძე

სატელევიზიო გადაცემა „საქართველოს დიდ ათეულში“ თსუ-ის დამაარსებლის, უდიდესი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის კანდიდატურის მხარდასაჭერად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს ხელი თსუ-ში არსებული ყველა ახალგაზრდული ორგანიზაციისა და მედია-საშუალების ხელმძღვანელმა მოაწერა.

4 მარტს გამართულ „ივანე ჯავახიშვილის მხარდამჭერი ჯგუფის“ პრეზენტაციაზე თსუ-ის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ივანე ჯავახიშვილის კანდიდატურის მხარდასაჭერად ერთობლივი საინფორმაციო კამპანიის წარმართვაზე შეთანხმდნენ, რადგან მათი აზრით, ივანე ჯავახიშვილი მისი საზოგადოებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობის გათვალისწინებით უდავოდ იმსახურებს საქართველოს დიდ ათეულში ადგილის დამკვიდრებას. ივანე ჯავახიშვილის კანდიდატურის მხარდამჭერი მემორანდუმი თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის, გაზეთ „თსუ თაიმსის“, სტუდენტური მოძრაობა „ახალგაზრდული ცენტრის“, სტუდენტურ თვითმმართველობასთან არსებული „საპატრიარქოსთან ურთიერთობის ცენტრის“, სტუდენტური ჟურნალის — „პირველი სიტყვის“, ახალგაზრდული ორგანიზაცია „პირველების“, გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“, სტუდენტური ჟურნალის — „რაკურსის“ ხელმძღვანელების ერთობლივი ძალისხმევით შედგა.

ივანე ჯავახიშვილის მხარდამჭერი ჯგუფის პრეზენტაციას უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მედია-საშუალებების წარმომადგენლები დაესწრნენ. ჯგუფის წევრთა წარდგინების შემდეგ ივანე ჯავახიშვილის — ამ დიდი მეცნიერის ღვაწლის შესახებ აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ და პროფესორმა მიხეილ ქურდიანმა მოხსენებები წაიკითხეს. დიდი მეცნიერისა და მკვლევარის პიროვნული თვისებები კი სტუდენტებს მისმა შვილიშვილმა თარხუჯ ჯავახიშვილმა გააცნო.

სტუდენტები ივანე ჯავახიშვილის კანდიდატურის მხარდაჭერისა და მისი პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიების გამართვას გეგმავენ, კერძოდ, მოეწყობა კონფერენციები, ექსკურსიები, შემეცნებითი შეხვედრები. თსუ-ის სტუდენტებმა უნივერსიტეტსა და მის ფარგლებს გარეთ უკვე დაარიგეს პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლისადმი მიძღვნილი სპეციალური გაზეთი სახელწოდებით — „ჩვენ ვირჩევთ ჩვენს გმირს“.

ერთად დავუჭიროთ მხარი ივანე ჯავახიშვილს!

(ნომერზე **2233** გააგზავნეთ SMS-კოდი **411**)

მხარი დავუჭიროთ გადაცემაში ივანე ჯავახიშვილის ბრწყინვალედ წარმოჩენისთვის თსუ-ის პროფესორს მიხეილ ქურდიანს!

(ერთი კვირის განმავლობაში დარეკეთ ტელეფონის ნომერზე: **409 507**).

გძონდეთ პოზიცია!

რას გვკარნახობს მეცნიერების კომერციალიზაციის ესტონური გამოცდილება?

მე-2 გვერდზე

მაგისტრატურაში მისაღები გამოცდები რთულდება

მე-3 გვერდზე

სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიები თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვა

მე-4 გვერდზე

რამდენად გაამართლა ტესტური გამოცდების ახალმა პროგრამა TEGAPRO-მ?

მე-5 გვერდზე

ნატოში ინტეგრაციას ვერ მოვახერხებთ, თუ არ გვექნება სამართლიანი სასამართლო

მე-7 გვერდზე

შეხვედრა ფონდ „იავნანას“ ქველმოქმედების მხარდასაჭერად

მე-11 გვერდზე.

2008 წლის სამეცნიერო აქტივობის სტატისტიკური ანალიზი

პირველი გვერდიდან

რუსთაველის ფონდის მიერ გამოცხადებულ თემატურ კონკურსში „ილია და გლობალიზაცია“ სულ წარადგინეს 21 პროექტი, აქედან 3 დაფინანსდა. მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან წარდგენილი 3 პროექტიდან 1 დაფინანსდა.

2008 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსში 8 პროექტიდან დაფინანსება მიიღო 2-მა, მათ შორის 1 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიაზე წარდგენილი იყო 39 მეცნიერი, დაფინანსება 10-მა მიიღო, მათ შორის 6 თსუ-ის პროფესორ-მასწავლებელია. შოთა რუსთაველის სახელობითი სტიპენდია მიენიჭათ თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებს: დამანა მელიქიშვილს, ნანა გაფრინდაშვილს, თედო დუნდუას, ლელა ალექსიძეს, მარინა ჯიქიას, გიორგი სანიკიძეს.

თსუ-ის ახალგაზრდა მეცნიერთა აქტივობის სტატისტიკა ასე გამოიყურება: 10-მა პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტი მიიღო, 4-მა ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია, 2-მა ივანე ბერიტაშვილის სახელობის სტიპენდია, 8-მ ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია.

როგორც იაგორ კალანდაძემ აღნიშნა, თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან მჭიდრო კონტაქტები აქვს და მას სისტემის დახვეწის გზებს სთავაზობს. აღსანიშნავია, რომ ფონდმა გასული წლის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ გაგზავნილი შენიშვნებისა და წინადადებების დიდი ნაწილი გაითვალისწინა.

პრეზენტაციაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნოდარ სურგულაძემ გამოსვლაში აღნიშნა, რომ შემდგომი ნაბიჯი მეცნიერების გრანტებით დაფინანსებაში პროექტების შეფასების სისტემის დახვეწაა. „დღეს გრანტები გამოიყოფა არა სამეცნიერო პრიორიტეტების ან ქვეყანაში არსებული პოტენციალის მიხედვით, არამედ კარგის და საუკეთესოს შერჩევის პრინციპით, ამიტომ სახელმწიფო ფიქრობს, რომ შემოიღოს მიზნობრივი გრანტები, ანუ მომავალში პროგრამები დაფინანსდება მეცნიერების გარკვეულ მიმართულებებში“, — აღნიშნა მან.

რუსთაველის ფონდის დირექტორმა თინათინ ბოჭორიშვილმა სამეცნიერო საზოგადოებას ფონდის მიერ დაგეგმილი სიახლეები გააცნო. მისი თქმით, სამეცნიერო-საგრანტო კონკურსი და ფონდის მიერ ილია ჭავჭავაძისა და შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიების დაწესება ჩვეულებრივ გაგრძელდება. ასევე, გაიცემა სამოგზაურო გრანტები იმ ქართველი მეცნიერებისთვის, რომლებიც მომხსენებლები არიან მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში გამართულ კონფერენციებზე და ხელს უწყობენ ქართული მეცნიერების ინტეგრაციას მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებასთან. „რაც შეეხება სიახლეებს, იგეგმება ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის ჩატარება, რომელიც გასულ ზაფხულს საომარი მოქმედებების გამო გადაიდო. გამარჯვებული წელს პირველად დაფინანსდება. პირველად გაიცემა გრანტი ლექსიკოგრაფიის განვითარებისთვისაც. სიახლეა ისიც, რომ მიმდინარე წელს დაფინანსდება საერთაშორისო-სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა. გრანტს მიიღებს ის ჟურნალი, რომელსაც მეტი გამოხმაურება მოყვება“, — განაცხადა თინათინ ბოჭორიშვილმა.

შეხვედრაზე განსაკუთრებით გაესვა ხაზი ექსპერტების პრობლემას და სამეცნიერო მიმართულებებისთვის ცალ-ცალკე კალათის გახსნას, რათა ბევრი კარგი პროექტი არ ჩაიკარგოს. მაგალითად, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლებმა წამოაყენეს წინადადება — გაიმიჯნოს ეს მიმართულებები ჰუმანიტარული მეცნიერებებისგან, რადგან 2008 წელს ამ ფაკულტეტიდან წარდგენილი 6 საუკეთესო პროექტიდან, რომლის ავტორებიც საერთაშორისო გრანტებს იღებენ, არც ერთი დაფინანსებულა.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეკისტიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი რისმაგ გორდეზიანი დაინტერესდა – სამეცნიერო გრანტი მეცნიერთა დაფინანსების ერთადერთ წყაროდ დარჩება თუ მათ დამატებითი დაფინანსებაც ექნებათ, რაზეც უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ უპასუხა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა ხელფასები უკვე უტოლდება ევროპის ზოგიერთი უნივერსიტეტის პროფესორთა ხელფასებს. ასე რომ, მათი დამატებით დაფინანსება არ იგეგმება.

რას გვკარნახობს მეცნიერების კომერციალიზაციის ესტონური გამოცდილება?

19-დან 26 იანვრამდე ესტონეთის დედაქალაქ ტალინში და ქალაქ ტარტუში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი მეცნიერების საკითხებში ალეკო ღონღაძე, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი ნათია ჯოხაძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტუდენტებისა და მეცნიერების სოციალური მომსახურების სამმართველოს უფროსი ალეკო გობრონიძე, თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი იაგორ კალანდაძე და ამავე დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გიორგი ღვედაშვილი, ასევე წარმომადგენლები სამედიცინო უნივერსიტეტიდან, ტექნიკური უნივერსიტეტიდან, ეკონომიკის სამინისტროდან, ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სამთო მექანიკის ინსტიტუტიდან, სამოქალაქო კვლევების და განვითარების ფონდის საქართველოს ბიუროდან და ბაქტერიოფაგის ინსტიტუტიდან. ვიზიტის მიზანი იყო ინოვაციური ცოდნის გადაცემის და მეცნიერების კომერციალიზაციის ესტონური გამოცდილების ადგილზე გაცნობა.

ვესაუბრებით თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსს ***იაგორ კალანდაძეს:***

მაია ტორაძე

— ბატონო იაგორ, როგორც ვიცით, ინოვაციური ცოდნის გადაცემისა და მეცნიერების კომერციალიზაციის ესტონური გამოცდილების საქართველოში გადმოტანა გარკვეული პროექტის ფარგლებში ხორციელდება. ამის თაობაზე ჩვენს გაზეთშიც არაერთხელ დაწერილა. ამჯერად რას ითვალისწინებდა დელეგაციის ვიზიტი?

— იდეა ასეთი თანამშრომლობის შესახებ 2007 წელს ესტონეთის პრეზიდენტის ვიზიტისას ჩაისახა, როცა იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად აირჩიეს. მას ახლდა ესტონეთის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პრორექტორი და ტექნოლოგიების განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი. მათთან საუბრისას შევთანხმდით თანამშრომლობის დაწყებაზე, რის შემდეგაც ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დააფინანსა პროექტი, რომელიც მეცნიერების კომერციალიზაციის მიმართულებით ესტონეთის გამოცდილების გაზიარებას ითვალისწინებს.

პროექტი 4 ფაზისგან შედგება. ის გულისხმობს ესტონელი ექსპერტების ჩამოსვლას, დაინტერესებულ პირებთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, ქართველების ესტონეთში ვიზიტს და ესტონური რეალობის ადგილზე გაცნობას.

სწორედ ამ მისიით გაემგზავრა ქართული დელეგაცია ტალინსა და ტარტუში, სადაც მდებარეობს ესტონეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ტარტუ, ტრადიციულად, განათლების უპირველეს კერად მიიჩნიათ, იგი არსებობის 350 წელზე მეტ ხანს ითვლის და ამ ტრადიციას იქ პატივს სცემენ.

ვიზიტი ძალიან დატვირთული და საინტერესო გამოდგა: ტალინის, ტარტუს და ტალინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტებში გავეცანით მეცნიერების ხელშეწყობისა და განვითარების ორგანიზაციულ სპეციფიკას, ასევე დავათვალიერეთ ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ტექნოპარკი, სადაც გავეცანით იმ ადამიანებს და ორგანოებს, რომლებიც ინოვაციურ ცოდნასა და ტექნოლოგიებს უწევენ პოპულარიზაციას, სწორად ფუთავენ ინოვაციურ სამეცნიერო პროდუქციას და ბიზნესმენებს თუ პრაქტიკული საქმიანობით დაკავებულ ფირმებს სიახლეებს აწვდიან.

გავეცანით ტარტუს უნივერსიტეტის ტექნოპარკს, სადაც შევხვდით ტექნოლოგიური ინსტიტუტის ხელმძღვანელს და პრაქტიკული საქმიანობით დაკავებულ რამდენიმე ფირმის ხელმძღვანელს, რომლებმაც თავიანთი გამოცდილება გაგვიზიარეს. ასევე, შევხვდით „არქიმედეს“ ფონდის წარმომადგენლებს, რომლებმაც საქართველოში სრული ორი წელი იმუშავეს და მეცნიერების კომერციალიზაციის აქ არსებული რესურსების შეფასება გააკეთეს.

ვიზიტის ფარგლებში სპეციალურად მიგვიწვიეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვიცე-კანცლერმა და ტალინისა და ტარტუს მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებმა. მათ წარმოადგინეს მოხსენებები, თუ რა როლს ასრულებს სამთავრობო დაწესებულებები და მუნიციპალიტეტები მეცნიერების კომერციალიზაციაში და როგორ უწყობენ ხელს ტექნოპარკების განვითარებას. შეხვედრები გვქონდა, ასევე, სხვა სახელმწიფო ინსტიტუციებთან: ეკონომიკის განვითარებისა და კომუნიკაციების სამინისტროში, საგარეო საქმეთა სამინისტროში, ესტონეთის საინიციატივო ფონდში, სამეცნიერო და განვითარების ფონდებში.

— კონკრეტულად რა დარგებს და სიახლეებს გაეცანით, რა საგულისხმო გამოცდილების გადმოტანა შეიძლება ამ კუთხით ესტონეთიდან ქართულ სინამდვილეში?

— ესტონეთში მეცნიერების კომერციალიზაციის კუთხით ყველაზე მაღალი კომპეტენციის ორგანო გახლავთ ესტონეთის საინიციატივო ფონდი. ეს არის ორგანო, რომელშიც თავს იყრის ყველა რესურსი ევროკავშირიდან, სახელმწიფო თუ მუნიციპალური ბიუჯეტიდან. ამ ფონდიდან კონკურსის წესით თანხები 6-7 წლის გათვლით ნაწილდება. აქ თავისი წინადადებები შეაქვთ სახელმწიფო სტრუქტურებს, სახელმწიფო პროტექტორატის ქვეშ არსებულ ფონდებს თუ სხვა დაწესებულებებს, ასევე პრივატულ დაწესებულებებს, რომლებიც მუშაობენ მეცნიერების განვითარებასა და კომერციალიზაციაში, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვაში.

ვიზიტის დროს საინტერესო შეხვედრები გვქონდა ესტონეთის განვითარების ფონდთან. მისი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გახლავთ ესტონეთის პარლამენტის წევრი მარკ ლაარი, რომელიც ესტონეთის ყოფილი პრემიერმინისტრი და, ამავე დროს, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველია. ყველა ეს შეხვედრა მიმართული იყო იქითკენ, რომ გვენახა ესტონური რეალობა მეცნიერების კომერციალიზაციის კუთხით, გავცნობოდით მეცნიერების განვითარების ტენდენციებს და თანამედროვე ინოვაციური ცოდნის გადაცემის ტრადიციებს.

— კონკრეტულად რა გამოცდილებას ფლობს ესტონეთი?

— ესტონეთის გამოცდილება ამ მიმართულებით, დაახლოებით, 90-იანი წლების დასაწყისში იღებს სათავეს. მაშინ, როცა ესტონეთი დამოუკიდებელი გახდა, ძირფესვიანად შეისწავლეს, შეაფასეს და გააანალიზეს არსებული რეალური სიტუაცია. როგორც ესტონეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შევიტყვეთ, ამაში მათ შვედეთიდან მოწვეული ექსპერტები დაეხმარნენ. ამ ანალიზის საფუძველზე დაიწყო ესტონეთმა რეფორმა, რომლის მიზანიც იყო როგორც აკადემიური მეცნიერების, ასევე უმაღლესი საუნივერსიტეტო სისტემის ქუდქვეშ მოქცეული მეცნიერების ოპტიმიზაცია და რეორგანიზაცია იმ ორიენტირებისკენ, რომელიც სახელმწიფომ იმ პერიოდისთვის პრიორიტეტად ჩათვალა.

მოხდა აკადემიის სისტემის როგორც მატერიალური, ასევე ადამიანური რესურსების ძირეული გარდაქმნა ამ პრიორიტეტების მიხედვით, მეცნიერების საუნივერსიტეტო სივრცის ქვეშ გადანაცვლება, პრივატიზაციიდან შემოსული თანხის სოლიდური ნაწილი სახელმწიფომ თანამედროვე ტიპის ინფრასტრუქტურის — ტექნოპარკების და სამეცნიერო ცენტრების შექმნას მოახმარა. ჩვენ გავეცანით ერთ-ერთ სამეცნიერო ცენტრს, და მინდა გითხრათ, რომ ეს არის თანამედროვე ტექნოლოგიებით შექმნილი ინფრასტრუქტურა — დაწყებული ოფისიდან, დასრულებული იქ განხორციელებული ხელშეკრულებებით და ფუნდამენტური მეცნიერებიდან წამოსული იდეებით, რომელიც ასახულია რეალურ ბიზნეს საქმიანობაში.

ასეთი რეალიზებული მაგალითებია ინფორმაციის გადაცემის გაადვილება და გაიაფება გარკვეული ტექნოლოგიების გამოყენებით, საკვები პროდუქტების ბიზნესში ფერმენტაციის და მიკროორგანიზმების გარკვეული სიახლეების გამოყენებით ჯანმრთელი საკვების მიღება, ტელეკომუნიკაციური სიახლეები და სხვა. ამ ინოვაციებს დაინტერესებული ფირმები, არა მარტო ესტონური, არამედ, შვედური, ფინური, ამერიკული, გერმანული და ა.შ. დღეს უკვე წარმატებით იყენებენ. იქ გამოყენებით მეცნიერებაში ჩადებული ფული აბსოლუტურად გამართლებულია. იგი ხვალ და ზეგ გაცილებით დიდი ეფექტის მომტანი იქნება.

როცა დაფინანსების გრძელვადიან ფორმაზე ვსაუბრობთ, უნდა ვთქვა, რომ ესტონეთში კარგად იციან, რომ იდეის დანერგვას გარკვეული წლები სჭირდება. ეს პროცესი იქ 6-7 წლიან ციკლებად არის დაყოფილი და მასში იგულისხმება უკუკავშირიც — თუ სახელმწიფოა ფულის გამცემი, ხდება სახელმწიფოს მხრიდან მონიტორინგი და შუალედური ანგარიშის წარდგენა — სახელმწიფოს მხრიდან გაცემული თანხა წლებთან დაკავშირებით მცირდება და იზრდება ახლად გენერირებული შემოსავალი წლიურ ბრუნვაში.

დღევანდელი ესტონური სტრატეგია გულისხმობს 2013—2014 წლებს. სწორედ ეს წლებია ის მიჯნა, რომლითაც მუშაობენ. დღეს დახარჯული ფული სრულად უკუგებული უნდა იყოს ამ პერიოდისთვის.

— ქართულ რეალობაში ასეთი გრძელვადიანი სტრატეგია ძნელად დასანერგია, რადგან ცნობილია, რომ ჩვენ ვართ საზოგადოება, რომელსაც ხვალვე უნდა მოგების ნახვა...

მე-8 გვერდზე

მაგისტრატურაში მისაღები გამოცდები რთულდება

2009 წლიდან აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველებს ერთიანი სამაგისტრო გამოცდების გავლა მოუწევთ, რომელსაც საქართველოს ერთიანი ეროვნული საგამოცდო ცენტრი ჩაატარებს.

ნატო ოგოლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 20 თებერვალს საქართველოს ერთიანი ეროვნული საგამოცდო ცენტრის დირექტორმა მაია მიმინოშვილმა ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩატარების გეგმის პრეზენტაცია გამართა, რომელსაც უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოება და სტუდენტები დაესწრნენ. მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებისთვის ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩატარება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით წესდება. საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება უმაღლესი სასწავლებლის მაგისტრატურაში მოხვედრის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. გამოცდებში მიღებული შედეგების მიხედვით განისაზღვრება აპლიკანტისთვის სახელმწიფო გრანტის გადაცემის საკითხი. მაგისტრატურაში აპლიკანტის საბოლოო ჩარიცხვას სპეციალობის გამოცდაში მიღებული ქულების მიხედვით და, ასევე, საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების გათვალისწინებით თავად უნივერსიტეტი წყვეტს.

საერთო სამაგისტრო გამოცდები „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების საფუძველზე ჩატარდება. საკანონმდებლო ცვლილებები ჯერ დამტკიცებული არ არის, თუმცა მისი განხილვა და პრეზენტაცია უმაღლეს სასწავლებლებში უკვე დაწყებულია. ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის დირექტორის მაია მიმინოშვილის განცხადებით, უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების ავტორებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათ მოისმინონ უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური საზოგადოებისა და სტუდენტების მოსაზრებები და შენიშვნები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აცხადებენ, რომ საერთო სამაგისტრო გამოცდების დანიშვნა მაგისტრატურაში ისეთი სტუდენტების მიღებას გამორიცხავს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სწავლების ამ საფეხურისთვის აუცილებელ მოთხოვნებს. საკანონმდებლო ცვილებების ინიციატორებისთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ აპლიკანტების ჩარიცხვის პროცესი გამჭვირვალე და ობიექტური იყოს.

პირველად საერთო სამაგისტრო გამოცდები 2009 წლის ივლისში ჩატარდება. სავარაუდოდ იგი ერთიანი ეროვნული გამოცდების პარალელურად გაიმართება. ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის დირექტორის მაია მიმინოშვილის თქმით, გამოცდების ჩასატარებლად ყველა აუცილებელი პირობაა შექმნილი — საგამოცდო ცენტრები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, დამონტაჟებულია ვიდეოკამერები, ადგილზე იმუშავებენ დამკვირვებლები.

მაგისტრატურაში სწავლების გაგრძელების მსურველებს საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩასაბარებლად დამატებით რომელიმე საგანში მომზადება არ დასჭირდებათ, რაც ყველა აპლიკანტს თანაბარ პირობებში აყენებს. უნარ-ჩვევების მსგავსი ტესტებით აპლიკანტის ისეთი უნარები მოწმდება, როგორიცაა ვერბალური მასალის აღქმა და გააზრება, ლოგიკური მსჯელობა და ანალიზი, აზრის თანმიმდევრულად და გამართული ენით ჩამოყალიბება, არგუმენტირებული მსჯელობა, რაოდენობრივი ინფორმაციის დამუშავების ელემენტარული პრინციპების ცოდნა. შესაბამისად, საგამოცდო ტესტი ოთხი ნაწილისაგან შედგება – 1. წაკითხულის გააზრება, 2. ლოგიკა ანუ მოკლე მსჯელობის ანალიზი და მოცემული პირობებიდან დასკვნის გამოტანა. 3. რაოდენობრივი მსჯელობა ანუ დიაგრამებისა და ცხრილების სახით წარმოდგენილი მონაცემების ანალიზი. მათემატიკური და ყოფითი ხასიათის რაოდენობრივი ამოცანების გადაჭრა. ამოცანის გადასაჭრელად საკმარისი პირობების დადგენა, მათემატიკურ გამოთქმებს შორის კავშირის განსაზღვრა. 4. ანალიტიკური წერა ანუ აზრის გამოხატვა მოცემულ საკითხზე, მოცემული მსჯელობის კრიტიკული ანალიზი. ჯერჯერობით დამუშავების პროცესშია — თუ რამდენი ტესტის გაკეთება მოუწევთ აპლიკანტებს და ამისთვის რა დრო იქნება გამოყოფილი, თუმცა უკვე ცნობილია, რომ მინიმალური ბარიერის გადასალახად აპლიკანტმა 4-დან 3 ტესტი აუცილებლად სწორად უნდა გააკეთოს.

მიმდინარე წელს მაგისტრატურისთვის განათლების სამინისტროს მიერ გამოყოფილი

საერთო გრანტი, გასულ წლებთან შედარებით, განსხვავებულად გადანაწილდება. გამოყოფილი თანხის 10 %-ს ყველა მიმართულება სპეციალობის მიხედვით მიიღებს, განურჩევლად უმაღლესი სასწავლებლისა. ეროვნული ცენტრის დირექტორის თქმით, ეს აპლიკანტს შესაძლებლობას მიცემს, რომ საუკეთესო შედეგების მქონემ ნებისმიერ სპეციალობაზე ჩაბარებისას მიიღოს სახელმწიფო დაფინანსება. სახელმწიფო დაფინანსების დარჩენილი ნაწილი ანუ 90 % გადანაწილდება მიმართულებების მიხედვით, 20 % ყველა მიმართულებაზე თანაბრად გადანაწილდება, 50 %-ს სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული მიმართულებები მიიღებენ.

საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტები განათლების სფეროში საერთაშორისო გამოცდილებისა და ქართული რეალობის გათვალისწინებით შეირჩა. შედგენილი ტესტების სირთულის ხარისხი ბაკალავრიატის სტუდენტების ტესტირების საფუძველზე დადგინდა. უკვე შედგენილია საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტების ნიმუშების კრებული, რომლის მიხედვითაც აპლიკანტებს წინასწარ მომზადება შეეძლებათ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ მაგისტრატურაში მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებები დადებითად შეაფასა. „ეს უნივერსიტეტისთვის ძალიან საინტერესო ინიციატივაა, რადგან ეს ცვლილება, პირველ რიგში, მაგისტრანტებს მისცემს საშუალებას — აირჩიონ ის სპეციალობები, სადაც, ძირითადად, ფინანსური პრობლემების გამო, შედარებით შეზღუდული კონტინგენტი მოდის. ამჟამად ფინანსდება მაგისტრანტების 27 %, თუმცა ახალი ინიციატივის განხორციელების შემდეგ ჩვენ გვექნება შესაძლებლობა — კიდევ უფრო გავზარდოთ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მაგისტრანტების კონტინგენტი“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

თსუ-ში უნივერსიტეტის დაარსების დღე აღინიშნა

„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 91 წლის განმავლობაში ღირსეულად ატარა საქართველოს პირველი უმაღლესი სასწავლებლის სახელი. უნივერსიტეტი XX საუკუნის საქართველოს ინტელექტუალური ცხოვრების ყველაზე დიდი მონაპოვარი და შენაძენია.

თამარ მარუაშვილი

უნივერსიტეტის კედლებმა ზიდეს ქართველი ერის ტკივილიც და სიხარულიც. ცოდნის თეთრი ტაძარი სათუთად ინახავდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეას. უნივერსიტეტი გახდა ეროვნული თვითმყოფადობის, ჩვენი ისტორიული მეხსიერებისა და იდენტურობის სიმბოლო. შემთხვევითი არ არის, რომ უნივერსიტეტის გახსნას „საქართველოს გონების სუვერენობის აღდგენა უწოდეს“, — აცხადებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, რომელმაც 9 თებერვალს, უნივერსიტეტის დაფუძნების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს იუბილე ქართული საზოგადოებისათვის არასდროს აღიქმება ერთ-ერთ რიგით ღონისძიებად.

„დღეს ჩვენ პატივს მივაგებთ უნივერსიტეტის დამფუძნებელთა ხსოვნას და ყველა იმ პროფესორ-მასწავლებელს, ვინც უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი მეცნიერების განვითარებაში. დღეს შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ თსუ არის ღირსეული მემკვიდრე იმ ტრადიციებისა, რომელსაც მომავალშიც აუცილებლად გავაგრძელებთ და მივიღებთ ისეთ უნივერსიტეტს, როგორიც ეკადრება ქართულ საზოგადოებას და იმ ტრადიციებს, რომლითაც იამაყებს ნებისმიერი წამყვანი უნივერსიტეტი მსოფლიოში“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

თსუ-ის დაფუძნების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიაში უნივერსიტეტის დამფუძნებელთა და პროფესორ-მასწავლებელთა ხსოვნისადმი მიძღვნილი პარაკლისით დაიწყო, რომელსაც თსუ-ის ადმინისტრაციისა და პროფესორ-მასწავლებლების მნიშვნელოვანი ნაწილი ესწრებოდა. პარაკლისის შემდეგ სასულიერო და საერო პატივი მიაგეს გარდაცვლილ მეცნიერთა და მოღვაწეთა ნათელ ხსოვნას.

ამავე დღეს მიეძღვნა ფოტო-გამოფენა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 90“, სადაც წარმოდგენილი იყო პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებების ამსახველი ფოტო-მასალა.

თსუ-ის პირველი კორპუსის ფოიეში წარმოდგენილი იყო თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის მიმართულების ინიციატივით მოწყობილი არქეოლოგიური ექსპედიციისას ახალი აღმოჩენების ამსახველი გამოფენა.

„პირველ რიგში მინდა მადლობა გადავუხადო თსუ-ის რექტორს, პროფესორ გიორგი ხუბუას და ყველა დეპარტამენტს. რომ არა მათი ფინანსური და მორალური მხარდაჭერა, ასეთი მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარდებოდა. მადლობა მინდა გადავუხადო, ასევე, ჩვენს პარტნიორს „აშტრომ ინტერნეშენალის“ ხელმძღვანელობას, სწორედ მათი დახმარებით მოხერხდა არქეოლოგიური გათხრების წარმოება. როგორც ხედავთ, შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თსუ-ის ისტორიაში პირველად მოხერხდა არქეოლოგიური სასწავლო-ექსპერიმენტული ლაბორატორიის ჩამოყალიბება. ამჟამად მიმდინარეობს ამ ლაბორატორიის აღჭურვა და სულ ცოტა ხანში გვექნება იმის შესაძლებლობა, რომ ეს უნიკალური აღმოჩენები სამეცნიერო „მიმოქცევაში“ გავუშვათ“, — განაცხადა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის მიმართულების სრულმა პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა.

ამავე დღეს თსუ-ის გამომცემლობამ გამართა ორი წლის მანძილზე გამოცემული 50-მდე დასახელების წიგნის პრეზენტაცია. წარმოადგინეს როგორც სამეცნიერო, ისე მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, სამეცნიერო ჟურნალები და საკონფერენციო მასალები.

„თსუ-ის გამომცემლობა იწყებს დიდ მთარგმნელობით პროგრამებზე მუშაობას და ამზადებს სახელმძღვანელოებს, რომლებიც ყველა ფაკულტეტისთვის ყველაზე რეიტინგული სახელმძღვანელოები იქნება მსოფლიო მასშტაბით. ამ პროექტის განხორციელებას სამ წელიწადში მოვახერხებთ და თსუ-ის სტუდენტები მიიღებენ თანამედროვე დონის რეიტინგულ სახელმძღვანელოებს“, — აღნიშნა თსუ-ის გამომცემლობის დირექტორმა თათია ებრალიძემ.

პარლამენტის წევრმა ნუგზარ წიკლაურმა ისაუბრა თსუ-ის გამომცემლობის პრიორიტეტებზე, რაც ქართველოლოგიასა და ენათმეცნიერებაში უფრო მეტი სახელმძღვანელოების გამოცემას ითვალისწინებს.

თსუ-ის დაარსების უდიდეს როლსა და მნიშვნელობაზე ისაუბრა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მარიამ ლორთქიფანიძემ: „იმ უმძიმეს, კომუნისტური რეჟიმის პირობებშიც კი ახერხებდა უნივერსიტეტი, რომ თავისი სტუდენტობა და ახალგაზრდობა ეროვნული სულისკვეთებით აღეზარდა. ეს რომ ნამდვილად ასე იყო, მრავალჯერ დაამტკიცეს ჩვენმა სტუდენტებმა, როდესაც ქვეყანას გაუჭირდა...

მოხარული ვარ, რომ წიგნის პრეზენტაციაზე ქართველოლოგიური დარგები საკმაოდ მრავალრიცხოვნად არის წარმოდგენილი. თსუ არის, იყო და იქნება ის უმაღლესი სასწავლებელი, სადაც პრიორიტეტი ყოველთვის ქართველოლოგიურ დარგებს მიენიჭება.

აღფრთოვანებას გამოვთქვავ არქეოლოგიური გამოფენის შესახებ. ეს დასტურია იმისა, რომ თსუ-ში იზრდება შესანიშნავი თაობა, რომელიც პატივს სცემს თავისი ქვეყნის ისტორიას.

მადლობა არქეოლოგიის კათედრას, რომ წარმოაჩინა ჩვენი ისტორიისთვის უმნიშვნელოვანესი დეტალები“, — აღნიშნა მარიამ ლორთქიფანიძემ.

საიუბილეო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების დასასრულს შედგა ლილიკო ნემსაძის ჰიმნის პრეზენტაცია, რომელიც კომპოზიტორმა თბილისის უნივერსიტეტს მიუძღვნა.

„ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მომეცა გამომეხატა ჩემი დიდი სიყვარული უნივერსიტეტისადმი. ტექსტი ეკუთვნის პოეტ რატი ამაღლობელს. ჰიმნს ასრულებს ოპერის კაპელა“, — აღნიშნა ლილიკო ნემსაძემ.

სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიები თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვა

2008 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ინფრასტრუქტურის განვითარების საგრანტო პროექტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან 1 200 000 ლარი მიიღო. თანხა მოხმარდა უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო ლაბორატორიების მოდერნიზაციას, მათი თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიით აღჭურვას, ტექნიკურად მოძველებული ხელსაწყოების შეცვლა-განახლებას და ინტერდისციპლინური ექსპერიმენტული ცენტრის შექმნას, რაც მომავალში სამეცნიერო კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესის ინტეგრაციას, კვლევების მაღალ ხარისხს და სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო ჯგუფების ეფექტიან თანამშრომლობას უზრუნველყოფს.

პროექტის ფარგლებში შეძენილია სხვადასხვა ტიპის სასწავლო და კვლევითი აპარატურა, რომელთაგან ზოგი უკვე მზადაა, ზოგი კი რამდენიმე თვეში სპეციალისტების მიერ დამონტაჟდება. როგორც ჩვენთან საუბარში თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ კახა თავზარაშვილმა განაცხადა, საერთაშორისო სტანდარტებით აღჭურვილი ლაბორატორიები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აამაღლებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პრესტიჟს და სტუდენტებისთვის მიმზიდველს გახდის კვლევით საქმიანობას. აქ შეძენილი უნარ-ჩვევები მათ საშუალებას მისცემს სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში უპრობლემოდ ჩაერთონ მსოფლიოს მოწინავე სამეცნიერო ცენტრების ექსპერიმენტულ პროგრამებში, გაზრდის მათ კომპეტენციას და შანსს — მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კოლაბორაციებში.

აღნიშნული თანხით ხელსაწყოები შეძენილია ძირითადად ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიისა და გეოლოგიის ლაბორატორიებისთვის.

მაია ტორაძე

ზურაბ ქუჩუკაშვილი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგე:

— ჩვენს ლაბორატორიაში სტუდენტი ეუფლება თანამედროვე ხელსაწყოებთან მუშაობის პრაქტიკას, ითვისებს კვლევის მეთოდებს. შესაბამისად, გვაქვს რამდენიმე ოთახი, სადაც პრაქტიკული მეცადინეობები მიმდინარეობს. სამწუხაროდ, აქამდე მხოლოდ მოძველებულ ხელსაწყოებზე ვმუშაობდით. უნივერსიტეტი ძალიან დაგვეხმარა — ინფრასტუქტურის განვითარების ტენდერის საშუალებით სასწავლო ლაბორატორიებისთვის შევიძინეთ მნიშვნელოვანი ხელსაწყოები, რომლითაც სტუდენტი თანამედროვე აპარატურასთან მუშაობის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს დაეუფლება. ამის შემდეგ ისინი ნებისმიერ ლაბორატორიაში შეძლებენ მუშაობას.

უკვე შევიძინეთ სპექტროფოტომეტრები, PH-მეტრები (წყალბადის იონების საზომი ხელსაწყო), მიკროპიპეტები, ასევე თანამედროვე მიკროსკოპები და ცენტრიფუგები, ანუ ის ხელსაწყოები, რომელიც ყველა სამეცნიერო თუ სადიაგნოსტიკო ლაბორატორიებში გამოიყენება — იქნება ეს სამედიცინო, ფარმაცევტული თუ კვების პროდუქტების ტესტირებისა. ჯერჯერობით ჩვენამდე შეძენილი აპარატურის მხოლოდ 5 % მოვიდა, კიდევ

ფიზიკური თვისებების გამზომი ხელსაწყო

ველოდებით სხვა დანადგარებს, რომელთა დამონტაჟების შემდეგაც ჩვენ გვექნება თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი ლაბორატორია, რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემს, არ შემოიფარგლოს სტატისტის როლით და თავად ჩაერთოს კვლევისა და ცდის პროცესში.

ალექსანდრე შენგელაია, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების პროფესორი:

— ინფრასტრუქტურის განვითარების გრანტის ფარგლებში ჩვენმა მიმართულებამ შეიძინა ფიზიკური თვისებების გამზომი ხელსაწყო, რომლის ღირებულება ადგილზე მოტანით დაახლოებით 500 000 ლარია.

ეს არის დანადგარი, რომელიც საშუალებას მოგვცემს — გავზომოთ თანამედროვე ნივთიერებების ფიზიკური თვისებები. მას აქვს საშუალება – მიიღოს ძალიან დაბალი ტემპერატურები, რომლის გარეშე თანამედროვე ფიზიკა წარმოუდგენელია. დაბალი ტემპერატურის მიღებას სჭირდება ე.წ. თხევადი ჰელიუმი, რომელიც ძალიან ძვირია საქართველოში და არც მოიპოვება. ჩვენ მიერ შეძენილი დანადგარი დახურულ სივრცეში მუშაობს და გვაძლევს შესაძლებლობას — ექსპერიმენტები, თხევადი ჰელიუმის დამატების გარეშე, უწყვეტ რეჟიმში შეუზღუდავად ჩავატაროთ. ხელსაწყო ზომავს ნივთიერების პრაქტიკულად ყველა ფიზიკურ პარამეტრს – მაგნიტურს, ელექტრულს, სითბოტევადობას და ა.შ.

დანადგარი შეკვეთილია ინგლისურ ფირმაში და აგვისტო-სექტემბერში უნდა დაამონტაჟონ. ეს იქნება უნიკალური აპარატი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ამიერკავკასიასა და თურქეთშიც კი. იგი დახმარებას გაუწევს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს და უნივერსიტეტში სამეცნიერო საზოგადოებასაც მოიზიდავს, რადგან ფიზიკის, კიბერნეტიკის თუ სხვა სამეცნიერო ინსტიტუტებში ამ სახის კვლევის ჩატარება აუცილებელია. თუ საინტერესო პროექტებს შემოგვთავაზებენ, ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისთვის.

შოთა სამსონია, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის მიმართულების პროფესორი:

— ჩვენ მივილეთ ორი ტრანში. ერთი იყო 2006 წელს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო დაფინანსება (419 717 ლარის ოდენობით). ამ ტენდერით შევიძინეთ 5 ხელსაწყო – ინფრაწითელი სპექტრომეტრი (რითაც ისაზღვრება ნივთიერების მიერ ინფრა-წითელ უბანში შთანთქმის ზოლი), ულტრა-იისფერი სპექტრომეტრი (ისაზღვრება ნივთიერების მიერ ულტრა-იისფერ უბანში შთანთქმის ზოლი), სითხური ქრომატოგრაფი (გამოიყენება ნივთიერებათა დასაცილებლად), C,H,N,S ანალიზატორი (გამოიყენება ნივთიერებათა ელემენტური შედგენილობის დასადგენად) და დიფერენციულ-სკანირებადი კალორიმეტრი (ისაზღვრება ნივთიერებებში ფაზური გადასვლები ტემპერატურაზე დამოკიდებულებით).

2008 წელს ფაკულტეტზე მოვიდა 1 200 000 ლარის დაფინანსება, რომელიც უნდა განაწილებულიყო ყველა მიმართულებაზე (გარდა მათემატიკისა და ინფორმატიკისა). თანხა გაიყო ორ ნაწილად. დიდი ნაწილი დაიხარჯა საფაკულტეტო ლაბორატორიის შექმნისთვის. ამ მიზნით შევიძინეთ მასსპექტრომეტრი, რომელიც საზღვრავს მოლეკულური იონის მასას და იძლევა მისი ფრაგმენტაციის სქემას. იგი ქიმიის მიმართულების ლაბორატორიაში დგას, მაგრამ მისი გამოყენება ყველა მიმართულებას შეუძლია.

ეს ხელსაწყოები, რომელიც ჩამოვთვალეთ და რომელიც ქიმიის მიმართულებისთვის შევიძინეთ, განლაგდა სამ ლაბორატორიაში. ყველა მუშა მდგომარეობაშია და მცირე საჭირო ნივთიერებების დამატების შემდეგ სრულ მზადყოფნაში იქნება.

გარდა ამისა, ჩვენთან ფუნქციონირებს 7 სასწავლო ლაბორატორია, ესენია: ორგანული ქიმიის, მაკრომოლეკულების, ბიოორგანული ქიმიის, მეტალორგანული ქიმიის, არაორგანული ქიმიის, ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის და ანალიზური ქიმიის ლაბორატორიები.

სასწავლო ლაბორატორიებისთვისაც გამოიყო თანხა, რომელიც გაუნაწილდა ლაბორატორიებს. ყველა ხელსაწყო ჯერ მოსული არ არის, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ უკვე შევიძინეთ პოლარიმეტრი, როტაციული ამაორთქლებელი, კონდუქტომეტრი, ალის ფოტომეტრი და ულტრაბგერითი ჰომოგენიზატორი.

ხელსაწყოები, რომელიც აქ ჩამოვთვალეთ, განკუთვნილია ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის. დანარჩენი ხელსაწყოებიც განლაგდება სასწავლო ლაბორატორიებში, სადაც ყველას ექნება მათთან მუშაობის საშუალება. უნდა ვთქვა, რომ ამ შენაძენით ჩვენ უკვე გვაქვს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიები, რომლითაც მთლიანად ფაკულტეტი და, მათ შორის, ჩვენი მიმართულებაც შეძლებს სტუდენტთა სრულფასოვან სწავლებას და მათ კვლევით საქმიანობაში ჩართვას.

გია დვალის აღმოჩენებმა, შესაძლოა, ახალ ფიზიკას დაუდოს სათავე

ცნობილი ქართველი ფიზიკოსი გია დვალი 15 წელზე მეტია, რაც აშშ-ში, შვეიცარიასა (ევროპის ბირთვულ კვლევათა ცენტრში - CERN) და იტალიაში მოღვაწეობს. მან ქართული სამეცნიერო სკოლის სახელი ღირსეულად წარმოაჩინა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

თამარ მარუაშვილი

ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი გია დვალი თეორიული ფიზიკის მიმართულების მეცნიერია. იგი თსუ-ის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს კოსმოლოგიასა და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში უკითხავს ლექციებს. გია დვალი თანამედროვე ფიზიკაში არსებულ იმ პერსპექტივებზეც აქტიურად საუბრობს, რომელიც მიზნად ისახავს თეორიული მოსაზრებების შესაბამისობას ჩვენს გარშემო არსებულ მოვლენებთან.

24 თებერვალს პროფესორმა გია დვალმა თსუ-ის ფიზიკის დიდ აუდიტორიაში ჩაატარა მიმოხილვითი ტიპის ლექცია ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკასა და კოსმოლოგიაში.

„ჩემი ლექციით მინდა შევაჯამო ამ მიმართულებით მუშაობის ის პროცესი, რომელიც განსაზღვრავს, თუ სად ვართ დღეს ამ კვლევების თვალსაზრისით და რა აღმოჩენების წინაშე შეიძლება დავდგეთ მომავალში“, — განაცხადა ბატონმა გიამ.

დღეს ფიზიკა და, კონკრეტულად, ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა ახალ აღმავლობას განიცდის. ახალგაზრდა მეცნიერები სამყაროს მოწყობის აქამდე დამტკიცებულად მიჩნეულ მოდელს ხელახლა იკვლევენ და მსოფლიოს რადიკალურ, საკმაოდ თამამ იდეებს სთავაზობენ. ქართველი მეცნიერის აღმოჩენებმა შესაძლოა ახალ ფიზიკას დაუდოს სათავე. ფიზიკოსები აცხადებენ, რომ თეორიები, რომლებსაც პროფესორი დვალი თავის კოლეგებთან ერთად ავითარებს, ექსპერიმენტულად დამტკიცების შემთხვევაში, თანამედროვე ფიზიკაში ბევრ რამეს შეცვლის. მისი თამამი ჰიპოთეზები სამყაროს მოწყობას, გრავიტაციის კვანტურ თეორიასა და დამატებითი განზომილებების აღმოჩენას შეეხება.

გია დვალის თეორიები დიდ ინტერესს იწვევს როგორც მის კოლეგებში, ასევე სტუდენტებში. მეცნიერმა სტუდენტებთან პრაქტიკული სამუშაოც ჩაატარა, რასაც სტუდენტების დიდი დაინტერესება და აქტიურობა მოჰყვა.

ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორს დიდი სურვილი აქვს ფიზიკის ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნას ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების, ე.წ. ადვანს-სტადის ინსტიტუტი, რომელიც კვლევების თანამედროვე ცენტრი იქნება და რომელიც საშუალებას მისცემს ქართველ ფიზიკოსებს — უფრო ნაყოფიერად და ეფექტურად იმუშაონ ამ მიმართულებით.



რამდენად გაამართლა ტესტური გამოცდების ახალმა პროგრამამ TEGAPRO-მ?

თამარ მარუაშვილი

ცივილიზაციის განვითარების პროცესს საფუძვლად უდევს სამეცნიერო-ფუნდამენტური კვლევები და გარკვეულ დონეზე მიღებული განათლება. ამ დროს აუცილებელია უწყვეტობა, რადგან ვერც მეცნიერება და ვერც განათლების განვითარება წყვეტას ვერ იტანს. ამიტომ ქართველს გენის დონეზე ჩამოუყალიბდა მოთხოვნილება განათლებისა და მეცნიერებისადმი. დღეს, ამ მხრივ, ყველაზე დიდ ნოვატორად თსუ გვევლინება. თსუ-ის აკადემიური პერსონალი თავისი მეცნიერული თუ ტექნოლოგიური აღმოჩენებით უფრო სრულყოფილს ხდის სასწავლო პროცესს და სტუდენტებს სწავლისა და მეტი ბეჯითობისათვის განაწყობს.

ამ მხრივ, საინტერესოა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრაზე (კათედრის გამგე პროფესორი მურთაზ მაღრაძე) დანერგილი ტესტური გამოცდების ახალი პროგრამა.

პროგრამების ავტორები არიან თსუ პროფესორი **დემურ სიჭინავა** *და მისი ვაჟი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი —* **ზვიად სიჭინავა**, *რომელმაც ეს პროექტი პროგრამულად უზრუნველყო. მათ მიერ შექმნილი პროდუქტი წარედგინა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს — „საქპატენტს“, რომელმაც ტესტური გამოცდების პროგრამაზე საავტორო უფლება გასცა 2126, რაც ძნელად შეიძლება მოიპოვო, რადგან ახალი კომპიუტერული პროგრამა უნდა იყოს აბსოლუტურად სრულყოფილი თავისი სისტემით. პროგრამული პროდუქტი TEGAPRO „საქპატენტში“ დარეგისტრირებულია სახელით „ზიკო“.*

ტესტური გამოცდების პროგრამა TEGAPRO დანერგილია და წარმატებით მუშაობს სხვა უნივერსიტეტებშიც. თსუ-ში მისი პრეზენტაცია 2006 წელს მოეწყო. პროგრამის პრეზენტაციას ფაკულტეტზე 150-მდე პროფესორ-მასწავლებელი ესწრებოდა, სადაც პროგრამის ავტორმა, პროფესორმა დემურ სიჭინავამ დაწვრილებით გააცნო მათ პროგრამის მუშაობა და დაცვითი მექანიზმები, რომლებიც გამორიცხავდა დაინტერესებული პირის მცდელობას — გარკვეული კორექტივები შეეტანა პროგრამის მუშაობაში.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **ჯამლეტ ჯანჯღავამ** *და დეკანის მოადგილემ* **გოჩა თუთბერიძემ** *დიდი როლი ითამაშეს ფაკულტეტზე ამ პროგრამის დანერგვის საქმეში.*

აღნიშნული პროექტის სრულად გაცნობის მიზნით ვესაუბრებით პროექტის ავტორებსა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხელმძღვანელებს.

გვესაუბრება პროექტის ავტორი, თსუ-ის პროფესორი **დემურ სიჭინავა**:

— ბატონო დემურ, როგორ და როდის დაიბადა ამ პროექტის შექმნის იდეა?

— 2004 წელს. მანამდე ტესტურ გამოცდებს ვატარებდი ცნობილი მეთოდით, ანუ სტუდენტები ტესტების კითხვებზე სწორი პასუხების ნომრებს სპეციალურ ცხრილში ჯვრებით აღნიშნავდნენ. შემდეგ კი თვითონ სტუდენტები ჩვენი თანდასწრებით, სწორი პასუხების აღმნიშვნელ გამჭვირვალე ფირს დაადებდნენ აღნიშნულ ცხრილს და ერთად ვითვლიდით სწორად მონიშნული პასუხების რაოდენობას.

რა თქმა უნდა, ეს მეთოდი ბევრად ჯობდა მის წინამორბედ მეთოდს, მაგრამ მაინც არ იყო თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაფერისი. ამიტომ გადავწყვიტე, შემექმნა პროგრამული პროდუქტი, რომელიც რეალური ტესტური გამოცდების სრული იმიტაცია იქნებოდა. ამისათვის აუცილებლად მჭირდებოდა მეორე ადამიანი და მეც ჩემს შვილს — ზვიადს (მაშინ ზვიადი იყო კომაროვის სახელობის სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე) შევთავაზე ამ პროექტის განხორციელებაში დახმარება. ზვიადი დამთანხმდა და დავიწყეთ მუშაობა.

პროექტის პროგრამული უზრუნველყოფისთვის ავირჩიეთ ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირების ენა Delphi. აღნიშნული ენა საკმაოდ მძლავრია. მას იყენებს კომპანია Microsoft-ი თავისი პროგრამული პროდუქტების შესამუშავებლად.

აღნიშნული პროექტის პროგრამული უზრუნველყოფა მთლიანად ზვიადის გაკეთებულია.

2005 წლისთვის აღნიშნული პროგრამული პროდუქტი უკვე მზად იყო, რომლის სრულყოფილ სახესაც დღეს თქვენ ხედავთ.

— ბატონო დემურ, TEGAPRO-ს მსგავს პროექტებს იყენებენ მსოფლიოს უმაღლეს სასწავლებლებში, განსაკუთრებით დასავლეთის ქვეყნებში და საკმაოდ წარმატებით. აგვიხსენით პროგრამული პროდუქტის TEGAPRO-ს უპირატესობა გამოცდების ჩატარების სხვა ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით?

— მოგახსენებთ. TEGAPRO-ს გააჩნია შემდეგი უპირატესობანი:

■ ობიექტურობა;

■ გამორიცხავს კორუფციას;

■ გამორიცხავს „შპარგალკების“ გამოყენებას (TEGAPRO-ში გამოყენებულია შემთხვევითი რიცხვის გენერატორი, რომელიც ტესტების ბაზიდან გარკვეული ალბათობით ირჩევს ტესტებს. ასევე ადგილებს უცვლის არჩეული ტესტის სავარაუდო პასუხებსაც);

■ ხელს უწყობს (განაპირობებს) ცოდნის მიღების აუცილებლობას და შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტების სწავლების დონის ამაღლებას;

■ უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის გამოცდის შედეგების ოპერატიულად გაცნობას (სტუდენტები ნიშნებს იგებენ გამოცდის დამთავრებისთანავე და არა 4-5 დღის შემდეგ);

■ პრეტენზიების თითქმის არ არსებობა (იშვიათი გამონაკლისის გარდა. მაგ.: 700 სტუდენტიდან შემოვიდა მხოლოდ 1 პრეტენზია). წერითი სახით ტესტური გამოცდების ჩატარებისას კი პრეტენზიების რაოდენობა, საშუალოდ, 10-15%-ია. ზოგიერთ შემთხვევაში კი 50%-საც აღწევს;

■ საკანცელარიო საქონლის ეკონომია;

■ ადამიანური რესურსების გამოთავისუფლება: ნაშრომების გასწორებისაგან, ნიშნების ბაზაში შეტანისგან, გამოცდაზე მეთვალყურეების რაოდენობის შემცირება და სხვა.

რით ამტკიცებს პროექტის უპირატესობას აპრობირებულ მეთოდებთან შედარებით პროექტის ერთერთი ავტორი **ზვიად სიჭინავა**:

— ზვიად, არ შეგეშინდათ სკოლის მოსწავლეს, ასეთი რთული პროექტის შექმნაში მონაწილეობის მიღებაზე უყოყმანოდ რომ დათანხმდით?

— რა თქმა უნდა, არა. რამდენადაც გარკვეული გამოცდილება მქონდა პროგრამირებაში.

ჯერ კიდევ მეექვსე კლასში ვიყავი, როდესაც თსუ-ის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში შექმნილ პროგრამისტთა ჯგუფში დავდიოდი. ჯგუფს ხელმძღვანელობდა ბატონი ავთანდილ ცისკარიძე. იქ ვეზიარე პირველად პროგრამირების ანაბანას.

— რა შესაძლებლობები გააჩნია თქვენს მიერ შექმნილ პროექტს?

— პროგრამული პროდუქტის TEGAPRO-ს (TE-ტესტური, GA-გამოცდების, PRO-პროგრამა) გამოყენებით შესაძლებელია, ნებისმიერ საგანში, როგორც შუალედური, ისე სასესიო ტესტური გამოცდების ჩატარება.

■ პროგრამულ პროდუქტ TEGAPRO-ში შეუზღუდავია შეკითხვებისა და თითოეულ ტესტზე სავარაუდო პასუხების რაოდენობა. პროგრამაში ჩართულია ე.წ. შემთხვევითი რიცხვის გენერატორი, რომელიც ფაქტიურად გამორიცხავს ტესტებისა და პასუხების თანმიმდევრობის გამეორებას;

■ პროგრამული პროდუქტი TEGAPRO ღია სისტემაა, ანუ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია პროგრამული ცვლილებების შეტანა. ე. ი. ადაპტირებადია ნებისმიერ დისციპლინასთან მიმართებაში;

■ გააჩნია დღეისათვის მიღებული და აპრობირებული ტესტური გამოცდების სტანდარტებზე გადასვლის შესაძლებლობა;

■ მოხსნილია სუბიექტური ფაქტორები, ანუ პროგრამული პროდუქტი TEGAPRO გამორიცხავს ე. წ. ფსიქოლოგიურ ზეწოლას გამომცდელის (ლექტორის) მხრიდან. პროექტი სტუდენტს საგამოცდო სტრესის ფაქტორს უხსნის და აძლევს საშუალებას მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი ცოდნა;

■ ამ სისტემით შუალედური შემოწმების ჩატარების შემთხვევაში შესაძლებელია სტუდენტთა შეფასებების ავტომატური დამახსოვრება სპეციალურ მონაცემთა ბაზაში და გამოცდის შედეგების მიხედვით საბოლოო უწყისის ფორმირება;

■ გამორიცხავს უცხო პირის გასვლას გამოცდაზე რომელიმე სტუდენტის მაგივრად. ამისათვის სასურველია, წინასწარ შეიქმნას სტუდენტთა პირადი ნომრებისა და მათი ფოტოსურათების მონაცემთა ბაზა;

■ პროგრამა საშუალებას იძლევა, მოხდეს ნიშნების ავტომატური გადატანა სტუდენტთა ერთიან საუნივერსიტეტო ბაზაში;

■ პროგრამული პროდუქტის TEGAPRO-ს საშუალებით შესაძლებელია, გამოცდების დამთავრებისთანავე, უწყისების შედგენა ცალკეული ჯგუფების მიხედვით;

■ პროგრამულ პროდუქტ TEGAPRO-დან შესაძლებელია შედგენილი უწყისების გატანა საოფისე პროგრამა EXCEL-ში შემდგომი დამუშავებისათვის (სხვადასხვა სახის სტატისტიკური მაჩვენებლების მისაღებად).

გარდა TEGAPRO-სი ჩვენ შევქმენით მეორე პროგრამაც TRENINGATOR-ი, რომელზეც სტუდენტს შეუძლია ივარჯიშოს სემესტრის განმავლობაში. TRENINGATOR-ზე მუშაობისას სტუდენტმა თუ ვერ გამოიცნო სწორი პასუხი, მაშინ პროგრამა აჩვენებს, რომელი პასუხია სწორი. ეს კი სტუდენტს საშუალებას აძლევს პრაქტიკულ მეცადინეობებზე, ლექტორის შეწუხების გარეშე, ისწავლოს ამა თუ იმ დისციპლინის ტესტები. აღნიშნული პროგრამით სტუდენტს შეუძლია თვითონ ჩაიტაროს გამოცდაც.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე TEGAPRO-ს აპრობაცია უკვე განხორციელდა. ჩვენთვის საინტერესო იყო ფაკულტეტის ხელმძღვანელთა აზრი პროექტის დანერგვის შესახებ. ამიტომ, ვესაუბრეთ ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ **ჯამლეტ ჯანჯღავას**.

— ბატონო ჯამლეტ, რას გვეტყოდით პროგრამულ პროდუქტ TEGAPRO-ს დანერგვასთან დაკავშირებით?

— ბოლო წლებში, სხვა სიახლეებთან ერთად, რომლებიც დაინერგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, აღნიშნული პროექტი ერთ-ერთი სერიოზული სიახლეა. რა თქმა უნდა, გამოცდების ჩატარება გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. არის გადაწერის მცდელობები, მაგრამ TEGAPRO-ს გააჩნია სერიოზული დამცავი საშუალებანი, რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს გამოცდების დარღვევების გარეშე ჩატარებას. მაღალია ობიექტურობის ხარისხი, გამოცდების ჩატარების დრო მინიმუმამდეა დაყვანილი. სტუდენტი გამოცდის დამთავრებისთანავე გებულობს შედეგს. არ უნდა ლოდინი რამდენიმე დღე, რაც საკმაოდ ზრდის სტუდენტის დროის ბიუჯეტს. გარდა აღნიშნულისა TEGAPRO-თი გამოცდების ჩატარება იძლევა დიდ ეკონომიკურ ეფექტს. ამ სიახლის ეფექტები ბადებს სურვილს, რომ პროგრამული პროდუქტი TEGAPRO დავნერგოთ ფაკულტეტზე, რათა მისი გამოყენებით, შეძლებისდაგვარად, ამ სახით ჩავატაროთ გამოცდების უმეტესობა, სადაც გამოყენებულ იქნება ტესტები.

ჩვენ დაგვაინტერესა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთა აზრმა აღნიშნული პროექტის შესახებ. ამიტომ ვესაუბრეთ ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელს პროფესორ **ემზარ ჯგერენაიას**.

— ბატონო ემზარ, რა აზრის ბრძანდებით ფაკულტეტზე საგამოცდო პროგრამული პროდუქტის TEGAPRO-ს დანერგვის შესახებ?

— განათლების რეფორმის ერთ-ერთი ძნელად მოსაგვარებელი პრობლემა სწორედ საბოლოო შეფასება და თვითშეფასების სისტემების მოუქნელობაა. მენტალურად ჩვენი პროფესურის ნაწილი ვერ ეგუება შეფასების ეტაპობრივ და ახლებურ მიდგომებს, მუდმივად ვერბალურ, ძველებურ რუტინულ კითხვა პასუხზე აქვთ აქცენტი. ერთი რამ ცხადია, ის ეპოქა, როცა სტუდენტი 2-3 გათენებულ ღამეში სწავლობდა საგანს და აბარებდა, ისტორიას უნდა ჩაბარდეს და შუალედურ შეფასებაზე აქცენტმა და კომპიუტერული ტესტური შეფასების სისტემამ წინ უნდა წამოიწიოს, სადაც სტუდენტი და პროფესორი ერთი გუნდის ნაწილი იქნებიან — საერთო მიზნით და სამოქმედო გეგმით. შემოთავაზებულ პროექტში არავითარი ფსიქოლოგიური ზეწოლა სტუდენტებზე არ არსებობს. ძველი გამოცდის სისტემა კი სწორედ ასეთ ზეწოლას შეიცავდა და, უფრო მეტიც, სუბიექტურობით ხასიათდებოდა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად, წლების განმავლობაში, ევროპის ბევრ უმაღლეს სასწავლებელში სერიოზული მსჯელობა მიმდინარეობს. ბოლონიის პროცესის შიგნითაც კი არ არის მზა ალგორითმი. მაგრამ ერთი რამ ცხადია, დღეს პრიორიტეტი ტესტურ სისტემას და ინფორმაციული ტექნოლოგიების დახმარებით შეფასებას ეკუთვნის.

ამ კუთხით სერიოზულ წინ გადადგმულ ნაბიჯად და დროულ ნოუ ჰაუდ მიმაჩნია პროფესორ დემურ სიჭინავასა და ზვიად სიჭინავას საავტორო პროგრამა საგამოცდო პროცესების კომპიუტერული მართვის შესახებ. ვფიქრობ, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რეკომენდაცია გავუწიო, შერჩევით და სტუდენტებისთვის ალტერნატივის შეთავაზების გზით, ნებაყოფლობით საფუძველზე დაინერგოს ფაკულტეტზე ამ ეტაპზე პროგრამული პროდუქტი TEGAPRO, ხოლო მომავალში დრო გვანახებს ამ ნოვატორობის სიცოცხლისუნარიანობას.

„ამ პროგრამას კიდევ ერთი დადებითი მხარე აქვს“ — ასე ფიქრობს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის გამგე, პროფესორი **მურთაზ მაღრაძე**.

— ბატონო მურთაზ, რა ეკონომიკურ ეფექტს იძლევა საგამოცდო პროგრამა TEGAPRO-ს დანერგვა?

— ჩვენ გავაანალიზეთ TEGAPRO-ს ეკონომიკური ეფექტიანობა და მივიღეთ სერიოზული შედეგები. პირველი ეფექტი ის იყო, რომ ერთ დღეში დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე მივიღეთ 580 სტუდენტი. ჩვენ შემთხვევაში გამოვიყენეთ საშუალოდ 75 კომპიუტერი. გამოცდა 12 ნაკადად ჩატარდა. თითოეული ნაკადის გამოცდის ხანგრძლივობა იყო 1 საათი (45 წუთი კომპიუტერული გამოცდა და 15 წუთი ორგანიზაციული საკითხებისთვის). 580 სტუდენტიდან 115-მა ვერ გადალახა 20 ქულიანი ბარიერი.

ეკონომიკური ეფექტიანობა გავიანგარიშეთ პირველი კურსის მიხედვით (დაახლოებით 700 სტუდენტი). აღნიშნული რაოდენობის სტუდენტთა ტრადიციული მეთოდით გამოცდების ჩატარების ხარჯთაღრიცხვამ შეადგინა 1411 ლარი. ხოლო კომპიუტერული წესით იგივე რაოდენობის სტუდენტების გამოცდების ჩატარების ხარჯთაღრიცხვამ შეადგინა 141,6 ლარი. თუ გავითვალისწინებთ, რომ სტუდენტი ორივე სემესტრში საშუალოდ 8 საგანს აბარებს, მაშინ წლიური ეკონომია, 700 სტუდენტზე გათვლით 10155,2 ლარის ტოლი იქნება. თუ ამ ციფრს გავამრავლებთ 4 კურსზე მივიღებთ 40620,8 ლარს. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტი ორივე სემესტრში აბარებს 12 საგანს, მაშინ წლიური ეკონომია, 700 სტუდენტზე გათვლით, ტოლი იქნება 15232,8 ლარის. თუ ამ ციფრს გავამრავლებთ 4 კურსზე მივიღებთ 60931,2 ლარს. მგონი ყველასათვის თვალსაჩინოა პროგრამული პროდუქტის TEGAPRO-ს გამოყენებით მიღებული ეკონომიკური ეფექტი.

— რატომ მოსწონთ სტუდენტებს ეს პროგრამა?

— იმიტომ, რომ პროგრამა გამოყენების თვალსაზრისით მარტივია. გამორიცხავს ცდომილებას და შეფასების ქულაც მაშინვე ცნობილი ხდება. სტუდენტები აგრეთვე იღებენ ინფორმაციას დაშვებული შეცდომების შესახებ.

გამორიცხულია ამ პროგრამის მიხედვით ერთი სტუდენტიც კი დაიჩაგროს, ან არაობიექტურად შეფასდეს. პროგრამა სტუდენტს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად გამოამჟღავნოს თავისი ცოდნა. გათავისუფლდეს გამოცდაზე ლექტორის პირისპირ ჯდომის კომპლექსისა და შიშისგან, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, სტუდენტის დაბნეულობისა და ნერვიულობის მიზეზი ხდება.

სტუდენტი ხვდება, რომ შეუძლებელია რაიმე ეშმაკური ხერხებით პროგრამის „გაცურება“ და ის იძულებული ხდება გამოცდისათვის საფუძვლიანად მოემზადოს.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და ამ ფაკულტეტთან არსებული თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრა პირველია, რომელიც ტესტური გამოცდების ჩასატარებელი პროგრამული პროდუქტის TEGAPRO-ს სრულყოფილებაში დარწმუნდა და მისი ეფექტური მუშაობა აღიარა.

ახალი საბაკალავრო პროგრამა გამოყენებითი ბიომეცნიერებისა და ბიოტექნოლოგიების დარგში

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნის პროცესში უნივერსიტეტებში უაღრესად მნიშვნელოვანია შედეგ ზე ორიენტირებული სწავლების დანერგვა და სტუდენტთა განათლების მაღალი ხარისხის მიღწევა, რაც საგანმანათლებლო პროგრამების ახლებურად გააზრებას, დახვეწასა და ინოვაციურ მიდგომას მოითხოვს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2007 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა TEMPUS-ის პროექტი „ახალი კურიკულუმის დანერგვა გამოყენებით ბიომეცნიერებისა და ბიოტექნოლოგიების დარგში“, რომლის ფარგლებშიც ევროპის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებთან: დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტთან (ქ. ბრისტოლი), დუბლინის ტექნოლოგიების ინსტიტუტთან (ირლანდია) და თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტთან (საბერძნეთი) თანამშრომლობის საფუძველზე შეიქმნა ახალი საბაკალავრო პროგრამა გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიების დარგში. პროექტის სამუშაო ჯგუფში გაერთიანებული არიან: საქართველოდან — პროექტის კოორდინატორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ინასარიძე, ბიოლოგიის მიმართულების სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მ. შენგელია, ასოცირებული პროფესორები: დ. გამრეკელი, ნ. დორეული, მ. გაიდამაშვილი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ე. ჩერქეზია, იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის სასწავლო ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. კულიკოვა, ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის სასწავლო ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ზ. ქუჩუკაშვილი, ბიომრავალფეროვნების სასწავლო ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მ. მურვანიძე, ასისტენტ-პროფესორი ნ. დვალიშვილი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. არჩვაძე; უცხოელი პარტნიორები — დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი: პროფ. სტივენ ნილი, დოქტორები: დეივ ლაში, ეგლის პრაულიტისი, დევიდ ვილი, ჯული მაკლეოდი; დუბლინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი: დოქტორი პოლ მატიას, დოქტორი პატრიკ მაკჰალე; თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი: დოქტორი ქრისტოს დორდასი, დოქტორი აპოსტოლოს პროექტის მოწვეული ექსპერტები არიან ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტოს უფროსი ნ. ჩუბინიძე და პროფესორი ჰენრი პარი (დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი). პროგრამის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობს ბიოლოგიის მიმართულების აკადემიური პერსონალი.

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თსუ-ის რექტორის, პროფესორ გიორგი ხუბუას და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ რამაზ ბოჭორიშვილის აქტიური მხარდაჭერა.

პროგრამა შინაარსით და სტრუქტურით ინოვაციურია. იგი ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და დაფუძნებულია განათლების თანამედროვე ევროპულ სტანდარტებზე. გამოყენებითი ბიომეცნიერებისა და ბიოტექნოლოგიების პროგრამა გვთავაზობს: მოდულარული სისტემის პრაქტიკულ მოდელს, პროგრამის ეფექტური მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის სქემას, ახალი სასწავლო მეთოდებისა და სასწავლო რესურსების უზრუნველყოფის სტრატეგიას.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა ითვალისწინებს ინდუსტრიასთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან მჭიდრო თანამშრომლობას, სწავლის პროცესში სტუდენთა დროებით დასაქმებას წარმოებაში, რაც მათი მომავალი დასაქმების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. სასწავლო პროგრამის ეს კომპონენტი პირველი პრეცედენტია საუნივერსიტეტო რეალობაში.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია მიღებული გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება თსუ-ის სხვა ფაკულტეტების და სხვა უმაღლესი სასწავლებლებისთვის (საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი). აგრეთვე დაგეგმილია სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ინიცირება.

ამჟამად პროექტით გათვალისწინებული ძირითადი სამუშაოების დიდი ნაწილი დასრულებულია: შექმნილია პროგრამის სტრუქტურა, გაწერილია მოდულური სქემა, განსაზღვრულია პროგრამის მენეჯმენტის სტრატეგია.

წარმატებით მიმდინარეობს პროექტით დაგეგმილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების პროცესი: უკვე შეძენელია კომპიუტერული ტექნიკისა და ლაბორატორიული აღჭურვილობის ნაწილი. სრული აღჭურვა დასრულდება 2009 წლის გაზაფხულის სემესტრისთვის. აღსანიშნავია, რომ პროექტის თანადაფინანსების ფარგლებში თსუ-ის მიერ უზრუნველყოფილია 15 სტუდენტზე გათვლილი კომპიუტერული კლასი.

თსუ-ის რექტორის, პროფესორ გიორგი ხუბუას რეკომენდაციის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ შუამდგომლობით მიმართა განათლების სამინისტროს, რათა ახალი საბაკალავრო პროგრამა „გამოყენებითი ბიოლოგია“ შეიტანონ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში (დადგენილება 82). უკვე შესაძლებელია ახალი საბაკალავრო პროგრამის პილოტირება 2009 წლის გაზაფხულის სემესტრიდან. საპილოტო ჯგუფისთვის ლექციების წასაკითხად განიხილება საერთაშორისო პარტნიორების მოწვევა. 2009-1010 სასწავლო წლიდან პროგრამა სრულად დაიწყებს ფუნქციონირებას.

უახლოეს ხანში დაგეგმილია ფართომასშტაბინაი მარკეტინგული და სარეკლამო კამპანია, რომელიც მიმართული იქნება მომავალ სტუდენტებზე, დამსაქმებლებსა და პოტენციურ პარტნიორებზე. დაგეგმილია სხვადასხვა სახის ღონისძიებები, მათ შორის ვებ-გვერდის შექმნა, ბეჭდური და ელექტრონული გამოცემები.

TEMPUS-ის პროექტის ფარგლებში სისტემატურად იმართება ვიდეო კონფერენციები, სადაც აქტიურად მიმდინარეობს დისკუსიები პროექტის მიმდინარე საკითხების ირგვლივ.

13 თებერვალს გაიმართა ახალი საბაკალავრო პროგრამის პრეზენტაცია. შეხვედრას ესწრებოდნენ: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი რამაზ ბოჭორიშვილი, თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ირინე დარჩია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი გ. ქუთელია, თსუ-ის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი იაგორ კალანდაძე, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ალექსანდრე ცისკარიძე და მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი.

პრეზენტაციებში აისახა პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის, აგრეთვე პროგრამის მართვის მნიშვნელოვანი კონცეფციები. აღინიშნა, რომ პროექტის ფარგლებში შემუშავდა სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვისა და საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო მასალითა და საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის სტრატეგიები; ინტენსიურად მიმდინარეობს ბიომეცნიერებების საგანმანათლებლო სტანდარტების საბოლოო ვერსიაზე მუშაობა.

შეხვედრაზე გამართულ დისკუსიებში კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ახალი საბაკლავრო პროგრამის — „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგიები“ ინოვაციური ხასიათი და დაიგეგმა ის გადაუდებელი ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია გაზაფხულის სემესტრიდან მობილობის ფარგლებში საპილოტე სასპეციალიზაციო ნაკადის მისაღებად.

უნივერსიტეტში ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდია დაწესდა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტ ზე სტუდენტებისთვის გამოჩენილი ქართველი მწერლის ოთარ ჩხეიძის სტიპენდია დაწესდა. პირველ სტიპენდიანტთა დაჯილდოება 21 იანვარს გაიმართა. ამავე დღეს შედგა როსტომ ჩხეიძის ახალი ბიოგრაფიული რომანის „აგვისტოს შვილების“ პრეზენტაცია.

შურთხია ბერეშვილი

„გამოჩენილი პიროვნებები ხშირად გვჩუქნიან დღესასწაულებს, რომელთა შორის ერთ-ერთი დღევანდელი დღეა“, — ასე მიმართა მწერალმა მაკა ჯოხაძემ შეკრებილ საზოგადოებას. ღონისძიებას ესწრებოდნენ მწერლები, ოთარ ჩხეიძის შვილები და პოლიტიკოსები, რომლებმაც ვრცლად ისაუბრეს თანამედროვეობის თვალსაჩინო მწერლის და საზოგადო მოღვაწის ოთარ ჩხეიძის შემოქმედების მნიშვნელობაზე.

სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ სტუდენტებს საპატიო ჯილდოს მიღება მიულოცა და წარმატებები უსურვა. „გვეამაყება,რომ ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდია პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწესდა. ყველასთვის ცნობილია ბატონი ოთარის დამსახურება ქართული მწერლობის წინაშე. მისი მოღვაწეობა ჩვენი ქვეყნისთვის იმ ურთულეს პერიოდს დაემთხვა, როდესაც მართალი სიტყვის ქადაგება რთული იყო. მისი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის გაცნობის გარეშე შეუძლებელია გავიგოთ XX საუკუნის საქართველოს რეალური მდგომარეობა.

სტიპენდია, რომელიც მწერლის შვილების თანხმობით დაწესდა, მეტი მოტივაცია იქნება ჩვენი ახალგაზრდობისთვის“, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ. მისი ინფორმაციით, შესარჩევმა კომისიამ სამი საუკეთესო სტუდენტი გამოავლინა, ესენი არიან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლიტერატურისა და თარგმანის პროგრამის მაგისტრანტები: ანა კოპალიანი, ოქტაი ქაზუმოვი და გიორგი კეკელიძე.

როგორც კომისიის ხელმძღვანელმა გიორგი გაჩეჩილაძემ განაცხადა, კომისიას გაუჭირდა გადაწყვეტილების მიღება, რადგან კონკურსში თორმეტი საუკეთესო სტუდენტი მონაწილეობდა. მან ვრცლად ისაუბრა მწერლის შემოქმედებაზე და აღნიშნა, რომ ოთარ ჩხეიძე არა მხოლოდ თანამედროვეობის, არამედ მომავლის მწერალია, რომლის შემოქმედება ორ „პერსონაჟს“ — საქართველოს და ქართულ ენას დასტრიალებს თავს. „ოთარ ჩხეიძის შემოქმედების თავისებურება ის გახლავთ, რომ ის არ არის დღესავით ნათელი. ყველა საიდუმლო აღძრავს ინტერესს და აზარტს. მისი შემოქმედება ისევე იტევს ყოველივე იმ საიდუმლოს, როგორც თვით ქართული ენა. „დამარხულ არს ენაი ქართული...“ — ეს სიტყვები უდევს საფუძვლად მის შემოქმედებას. მწერალმა თავის ნაწარმოებებში ყურადღება ინტონაციასა და მის შესაძლო მასშტაბებზე გადაიტანა, სწორედ წერის ეს უჩვეულო მანერა გამოარჩევს მას სხვებისგან“, — აღნიშნა გიორგი გაჩეჩილაძემ.

სტუდენტებს უნივერსიტეტის პროფესორი კახა ლორია მიესალმა და მათ წარმატებები უსურვა. მისი თქმით, ოთარ ჩხეიძე უახლესი ქართული ისტორიის მხატვრული მემატიანეა, რომლის ნაწარმოებები გაჟღენთილია კრიტიკული პათოსით იმდროინდელი საბჭოთა სინამდვილისადმი. „მახარებს ის ფაქტი, რომ მომავალი თაობა სულ უფრო და უფრო კარგად აცნობიერებს ოთარ ჩხეიძის შემოქმედების მნიშვნელობას. იგი, გარკვეულწილად, სიცოცხლეშივე იყო დაფასებული, თუმცა, რაც დრო გავა, ქართველ კლასიკოსთა თანავარსკვლავედში ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს“, — განაცხადა კახა ლორიამ.

მაკა ჯოხაძემ აღნიშნა, რომ ოთარ ჩხეიძე ერთ-ერთი გამორჩეული რომანისტია, რომელიც მუდმივად ახალგაზრდობაზე წერდა. „იგი ჩემთვის იმ სულიერი არისტოკრატიზმის წარმომადგენელია, რომელიც ძალიან ჰგავდა XIX საუკუნის დიდ მოღვაწეებს. იგი ყველაზე სანდო მემატიანეა. მან ახალგაზრდებს დაუტოვა ფასდაუდებელი განძი თავისი ნაწარმოებების სახით, რათა მათ აღმოაჩინონ — თუ როგორი იყო იმდროინდელი საქართველო. ოთარ ჩხეიძე არის ზღვა ოკეანე, რომელიც, პირველ რიგში, საქართველოს აღმოგაჩენინებს, შემდეგ კი მსოფლიოს“, — განაცხადა მაკა ჯოხაძემ.

შეხვედრაზე დიდი მწერალი კიდევ ერთხელ გაიხსენეს კრიტიკოსმა კობა იმედაშვილმა, პოეტებმა: ჯანსუღ ჩარკვიანმა, ლია სტურუამ, ქეთევან შენგელიამ და სხვებმა.

სტიპენდიების გადაცემის შემდეგ გაიმართა ოთარ ჩხეიძის შვილის, მწერლისა და კრიტიკოსის როსტომ ჩხეიძის ახალი ბიოგრაფიული რომანის —„აგვისტოს შვილები“ („მამაჩემი ოთარ ჩხეიძე“) პრეზენტაცია.

როსტომ ჩხეიძეს რომანის დასაწერად ბიძგი მამის დღიურებმა მისცა, რომელსაც იგი 1965 წლიდან წერდა. მხოლოდ მწერლის გარდაცვალების შემდეგ გაბედა შვილმა რელიკვიად ქცეული დღიურების წაკითხვა. წიგნმა „აგვისტოს შვილები“ ორმაგი მნიშვნელობა შეიძინა. ამის შესახებ როსტომ ჩხეიძემ დამსწრე საზოგადოებას ასე განუმარტა: „1924 წლის აგვისტომ მთელ საქართველოზე, მათ შორის, ჩვენს ოჯახზეც გადაიარა. ოთარ ჩხეიძის მამა აჯანყების მონაწილე იყო, რომელიც ორჯერ დააპატიმრეს, შემდეგ კი დახვრიტეს ძმასთან და ბიძასთან ერთად. პატარა ოთარი გადაარჩინეს და თბილისში ჩამოიყვანეს, სხვა სოფელში გადამალეს მისი და-ძმა. მამას ყოველთვის სურდა დაეწერა რომანი 1924 წლის ტრაგედიაზე. მაგრამ იმ დროს მინიშნებითაც კი არ შეიძლებოდა ამ ტრაგედიაზე საუბარი. ოთარ ჩხეიძე ხშირად ამბობდა: ვერ წარმოვიდგენდი, რომ დამოუკიდებელ საქართველოს მოვესწრებოდიო. 1974 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა მისი რომანი „ბორიაყი“, რომელიც შეიძლება მისი შემოქმედების გვირგვინად ჩაითვალოს.

როგორც ყველა ბიოგრაფიული რომანი, არც „აგვისტოს შვილები“ ეძღვნება მხოლოდ ერთ პიროვნებას. წიგნში აღწერილია იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული მოვლენები. უფლება არ მქონდა, ოდნავ მაინც გადამეხვია იმ მრწამსისთვის, რომელსაც ოთარ ჩხეიძის შემოქმედებითი მეთოდი ჰქვია. მაშინ ფასი დაეკარგებოდა ყოველივეს.

2008 წელს აგვისტოს ომით ისტორია გამეორდა ჩვენს თვალწინ და ჩემი რომანის კომპოზიციური ჩარჩოც ამან შეკრა. ალბათ, არც ის იყო შემთხვევითი, რომ ამ ტრაგედიამ ჩვენს ოჯახზე კიდევ ერთხელ გადაიარა. ერთ-ერთი სასტიკი ბრძოლა ჩვენი სოფლის, ყელქცეულის ბოლოშიც გაჩაღდა. ძალიან მაღელვებდა ჩვენი სახლის ბედი. როდესაც სოფელში ჩავედი, სახლის კარი ღია დამხვდა, მაგრამ ოთარ ჩხეიძის ოთახში ფურცელიც კი არ იყო გადაბრუნებული. ეს საოცრების ტოლფასი იყო...“, — განაცხადა როსტომ ჩხეიძემ პრეზენტაციაზე.

ბიოგრაფიულ რომანს წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობა, სადაც ვკითხულობთ: „წინ, ოთარ ჩხეიძისკენ, მისი საგისკენ, ამ ამოუწურავი მხატვრული სამყაროსკენ — ასეც შეიძლება განისაზღვროს ამ ბიოგრაფიული რომანის სულისკვეთება“.

თვითონ დიდ მწერალს ასე სწამდა:

„უმწერლოდ ცხოვრება დაიკარგებოდა...
ცხოვრების ისტორია არავის ეცოდინებოდა..
კაცთა ვნებას ვერავინ ჩასწვდებოდა...
სიცოცხლის აზრს ვერავინ გაიგებდა...
სიმართლეს ვერავინ მიაკვლევდა...
ხასიათებს ვერავინ გაარჩევდა“. (ოთარ ჩხეიძე)

სამხედრო განათლება და წვრთნა — თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტი

2 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით სიხარულიძე უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა. თავის გამოსვლაში მან ყურადღება გაამახვილა იმ პრიორიტეტებზე, რომელიც საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემაში იკვეთება.

მაია ტორაძე

„თანამედროვე უსაფრთხოების გარემოში – გლობალიზაციის პერიოდში, უსაფრთხოება ცალკე აღებული აღარ არსებობს და ის ერთი რეგიონის ფარგლებშიც კი ცალკე აღარ განიხილება. შესაბამისად, ყველაფერი, რაც ერთ ადგილას ხდება, გავლენას ახდენს რეგიონისა და სხვა ქვეყნების უსაფრთხოებაზეც. ამიტომ, დღეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთობლივი ზრუნვა გლობალური და რეგიონული უსაფრთხოებისთვის“, - განაცხადა დავით სიხარულიძემ.

თავდაცვის მინისტრის გამოსვლაში განსაკუთრებით გაესვა ხაზი თავდაცვის სისტემის ინსტიტუციურ სრულყოფას, რაც მოიცავდა რესურსებისა და პირადი შემადგენლობის მართვის სტრუქტურას, ასევე, შიდაინსტიტუციას, თავდაცვის სამინისტროსა და გენერალურ შტაბს შორის უკეთეს კოორდინაციას, დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემებს.

დავით სიხარულიძის თქმით, თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სამხედრო განათლება და წვრთნაა. „ჩვენთვის განათლება ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ის შექმნის საფუძველს, რომ ჩვენი ოფიცრებისა და სერჟანტების კორპუსმა უკეთ შეასრულოს დაკისრებული ფუნქციები“, — განაცხადა მან.

თავდაცვის მინისტრმა პრიორიტეტებს შორის დაასახელა პირადი შემადგენლობისა და კარიერული მართვის საკითხი. „სამხედრო სამსახური პრესტიჟული და საპატიოა, რაც სამართლებრივად და კარიერულადაც მკაფიო და გამოკვეთილი უნდა იყოს. კარიერული სამსახური ადამიანს დაგეგმილი უნდა ჰქონდეს. ეს ეხება საველე და საშტაბო მოღვაწეობას და მასში განათლების კომპონენტების ჩართვას“, — აღინიშნა გამოსვლაში.

განსაკუთრებით გაესვა ხაზი თავდაცვის სამინისტროს გეგმებს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით. „90-იანი წლების შუა პერიოდიდან საქართველო მონაწილეობს პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. ამჯერად ჩვენ თვისობრივად სხვა ეტაპზე გადავდივართ. დღეისათვის ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ყოველწლიური გეგმა პრაქტიკულად იგივეა, რითაც მუშაობენ ის ქვეყნები, რომლებიც ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში არიან. ამ მხრივ დიდი ყურადღება ეთმობა სწორედ თავდაცვის სისტემას და იმ ვალდებულებების შესრულებას, რომელიც ამ ეტაპისთვის საქართველოს დაეკისრა“, — განაცხადა დავით სიხარულიძემ. მან, ასევე, განიხილა სოციალური მდგომარეობის და შეიარაღებული ძალების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა, რომელშიც დიდი ადგილი შეიარაღებულ ძალებში სოციალური პირობების გაუმჯობესებას უჭირავს.

„ჩვენი უსაფრთხოების უმთავრეს პრიორიტეტებად რჩება მშვიდობიანი გზით ჩვენი ქვეყნის რეინტეგრაცია და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ენერგეტიკის მხრივ, რაც ჩვენი ენერგოდერეფნის დივერსიფიცირებას გულისხმობს. საქართველო განაგრძობს წვლილის შეტანას როგორც რეგიონული, ასევე საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში. რუსეთის აგრესიამ და, შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციამ სერიოზული ზიანი მიაყენა საქართველოს უსაფრთხოებას, მაგრამ, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ მიმართულებით ქვეყანა ფეხზე დგება. მან გაუძლო ამ დარტყმას. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ ყველა ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, შესრულდეს“, — განაცხადა დავით სიხარულიძემ. მან ისაუბრა საქართველოს სამხედრო დოქტრინის შესახებ, რომელიც მოცემულ რესურსებსა და მათ რაციონალურ გამოყენებას შორის ბალანსის დაცვას ითვალისწინებს. „სამხედრო დოქტრინა ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში ეს პროგრამები განსაკუთრებულად იმუშავებს. გარკვეული ცვლილებებია დაგეგმილი, ზოგადად, შეიარაღებულ ძალებში. მეტი ყურადღება დაეთმობა თავდაცვის განვითარებას, მაგრამ პარალელურად უარს არ ვამბობთ იმ შესაძლებლობებზე, რომელიც თავდაცვასა და შეიარაღებულ ძალებში კარგად არის განვითარებული. ამით მათ სხვადასხვა ოპერაციებში მონაწილეობის შესაძლებლობა ექნებათ. ასეთი ოპერაციები ჯერ დაგეგმილი არა გვაქვს, მაგრამ მზად უნდა ვიყოთ — ჩვენი წვლილი შევიტანოთ გლობალური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში“, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

მის გამოსვლაში განსაკუთრებით აღინიშნა სამხედრო განათლების განვითარების აუცილებლობა. „ჩვენ ერთწლიანი სამხედრო სწავლება გვაქვს. თუ სამხედრო აკადემიაში მოვა უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული ბაკალავრის ხარისხით, ჩვენთან ერთ წელიწადში მიიღებს ლეიტენანტის ჩინს და საშუალება ექნება, დაიწყოს სამხედრო კარიერა. მინდა გითხრათ, რომ თუ ამ მიმართულებით ვინმეს სურვილი აქვს (ეს განსაკუთრებით ეხებათ ჯავახიშვილის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს), სიხარულით მივიღებთ“, — ბრძანა ბატონმა დავით სიხარულიძემ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ თავდაცვის მინისტრმა პრესისთვის გააკეთა კომენტარი, რომელშიც აღნიშნა, რომ თანამშრომლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან კიდევ უფრო გაღრმავდება და მოიცავს როგორც განათლების, ასევე კვლევების სფეროს.

თავდაცვის უწყებასთან თანამშრომლობის საკითხებზე კომენტარი გააკეთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამაც. „ჩვენ შევთანხმდით, რომ თავდაცვის სამინისტროსთან შეიქმნება ერთობლივი ჯგუფი, რომელიც იმ პრიორიტეტებს გამოკვეთს, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტს ამ უწყებისთვის კადრების მომზადება შეეძლება. დღევანდელი შეხვედრა ამ თანამშრომლობის ძალიან საინტერესო დასაწყისია“, – განაცხადა უნივერსიტეტის რექტორმა.

ნატოში ინტეგრაციას ვერ მოვახერხებთ, თუ არ გვექნება სამართლიანი სასამართლო

18 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სახელმწიფო მინისტრი ევროინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე ესტუმრა და სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ღია დიალოგისკენ მოუწოდა. გიორგი ბარამიძემ ძირითადი აქცენტები მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე, რუსეთის აგრესიაზე, საქართველოს საშინაო პრობლემებსა და ხელისუფლების საგარეო პოლიტიკურ კურსზე შეაჩერა. მისი აზრით, ქვეყნისთვის ამ მძიმე პერიოდში ახალგაზრდების მოსაზრებებისა და შეხედულებების მოსმენა მნიშვნელოვანია.

შურთხია გეროშვილი

სახელმწიფო მინისტრს თსუ-ის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა მიესალმა, რომელმაც ამ შეხვედრის მნიშვნელობაზე ისაუბრა. „დარწმუნებული ვარ, ჩვენს სტუდენტობას საშუალება ექნება — მათთვის ყველაზე საინტერესო კითხვებზე მიიღოს პასუხი. ასეთი კონტაქტი საზოგადოებასთან აუცილებელია, განსაკუთრებით დღეს, როდესაც საქართველო საკმაოდ სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. სტუდენტობამ კარგად უნდა გააცნობიეროს ქვეყნის სამომავლო პერსპექტივები“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ბარამიძეს მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის მიმართ გამოჩენილი მხარდაჭერისთვის და ევროპული კვლევების ინსტიტუტის მოდიფიცირებაში თანადგომისთვის.

როგორც შეხვედრაზე გიორგი ბარამიძემ აღნიშნა, ხელისუფლებას განსაკუთრებით აინტერესებს იმ ახალგაზრდების აზრი, რომლებიც უნივერსიტეტში იმ იმედით იღებენ განათლებას, რომ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება ქვეყანას მოახმარონ. მან პასუხი გასცა სტუდენტების შეკითხვებს, ისაუბრა იმის შესახებ, თუ რას აპირებს ხელისუფლება ქვეყანაში სტაბილურობის შესანარჩუნებლად, ხალხის დასასაქმებლად, დაკარგული ტერიტორიების მშვიდობიანად დასაბრუნებლად და ეკონომიკის ასაღორძინებლად.

გიორგი ბარამიძემ ღიად ისაუბრა ქვეყანაში შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ სიტუაცია გაართულა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და ომმა, რომელიც რუსეთმა საქართველოს თავს მოახვია.

„შექმნილი მდგომარეობის მიუხედავად, საქართველომ არ შეცვალა თავისი საგარეო პოლიტიკა და კურსი. იგი კვლავ ესწრაფის ნატოსთან და ევროპასთან ინტეგრაციას. ამ პერსპექტივას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მომავლისთვის. ჩვენ გვსურს თქვენი მოსაზრებების მოსმენა, რათა ვიცოდეთ, როგორ ვიმოქმედოთ მომავალში“, — აღნიშნა გიორგი ბარამიძემ. მისი ინფორმაციით, ნატოსთან და ევროკავშირთან ინტეგრაცია მხოლოდ თავდაცვის უზრუნველყოფას არ გულისხმობს. ეს, ამავდროულად, ცივილიზებული, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

გიორგი ბარამიძემ საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ იგი გულისხმობს სხვადასხვა, მათ შორის, თავდაცვის სფეროში თანამშრომლობას და ამასთან, ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის თვისობრივად ახალ საფეხურზე გადასვლას. მისი ინფორმაციით, ხელისუფლება ქარტიის ფარგლებში სერიოზული პროექტების განხორციელებას გეგმავს.

სახელმწიფო მინისტრმა ევროინტეგრაციის საკითხებში სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ დემოკრატიული ქვეყანა არ აშენდება, თუ მას არ ექნება თავისუფალი და სამართლიანი სასამართლო. „ნატოში ინტეგრაციას ვერ მოვახერხებთ, თუ ვერ მოვაგვარებთ ამ პრობლემას. ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმაში ევროკავშირიც გვეხმარება“, — აღნიშნა ბარამიძემ.

სტუდენტებთან დიალოგის დროს სახელმწიფო მინისტრმა ღიად ისაუბრა მედიის თავისუფლებაზე. მისი აზრით, პრესის თავისუფლების ხარისხი მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს ჩვენს საზოგადოებას, თუმცა კიდევ არის იმის განცდა, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ პრობლემებია. „საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხი ძირითადად ოპოზიციის წარმომადგენლებს დაეთმობა, სადაც უფრო ფართო სპექტრით გაშუქდება სხვადასხვა საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური მოვლენა“, — აღნიშნა ბარამიძემ.

სახელმწიფო მინისტრმა ისაუბრა იმ რეფორმებზეც, რაც საქართველოში წარმატებით ხორციელდება. მან აღნიშნა, რომ საბაზრო ეკონომიკის პრინციპები განათლების სფეროშიც ვლინდება. ამის ნათელი მაგალითია რეფორმა, რომელიც ჯერ კიდევ მიმდინარეობს და არ დასრულებულა. „გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ჩვენს პროფესორ-მასწავლებლებს ანაზღაურება გაეზარდათ. რამდენიმე წლის წინ პროფესორს ლუკმა-პურის პრობლემა ჰქონდა, დღეს კი სიტუაცია შეიცვალა“, — აღნიშნა გიორგი ბარამიძემ სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან საუბრისას.

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის 2008 წლის ანგარიში

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტმა **გივი იასეშვილმა** აკადემიის ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობის 2008 წლის შედეგების და მომავალი ამოცანების შესახებ მოხსენება წაიკითხა. სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ნაშრომის პრეზენტაცია თსუ-ში 4 თებერვალს გაიმართა. პრეზენტაციას სამხედრო მეცნიერების აკადემიის წევრები, სამხედრო ექსპერტები და თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები დაესწრნენ.*

ნატო ოგოლაძე

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტის გივი იასეშვილის 2008 წლის შემაჯამებელ მოხსენებაში გასული წლის ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამხედრო მოვლენა შევიდა. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებო 2008 წლის

აგვისტოს ომის თანმდევი მოვლენების მიმოხილვა-ანალიზი გახლდათ.

გივი იასეშვილის აზრით, რუსეთ-საქართველოს ომში ქართული მხარის წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი სამხედრო სისტემის შიდა სამზარეულოს მოუწესრიგებლობა გახდა და ეს პრობლემა 2009 წელს აუცილებლად უნდა მოგვარდეს. ,,ამ ომში გამოაშკარავდა საქართველოს არმიის ყველაზე დიდი და მთავარი პრობლემა – სხვადასხვა დონეზე მართვის ნაკლოვანებები. სწორედ საბრძოლო დანაყოფების მართვაში არსებულმა ხარვეზებმა გაართულა არათუ სტრატეგიული, არამედ ტაქტიკური გამარჯვების მიღწევა, რასაც კავშირგაბმულობის ცუდი მუშაობაც დაემატა“, — აღნიშნავს გივი იასეშვილი. საქართველოს თავდაცვის სისტემის გასაუმჯობესებლად იგი თავდაცვის სამინისტროს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული აკადემიისა და საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის გაერთიანების იდეასაც აყენებს, რასაც ქვეყნის თავდაცვის კუთხით გაძლიერების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად მიიჩნევს.

სამეცნიერო ნაშრომში „საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობის 2008 წლის შედეგები და მომავალი ამოცანები“, ასევე, საუბარია საქართველოს საჰაერო სივრცის დაცვის რამდენიმე მექანიზმის თაობაზე, რომლის განხორციელების შემთხვევაში, გივი იასეშვილის მოსაზრებით, ქვეყნის საჰაერო თავდაცვა მნიშვნელოვნად გაძლიერდება. ნაშრომის ავტორს მხედველობაში აქვს საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის წევრის ამირან სალუქვაძის შედგენილი „საჰაერო თავდაცვის სისტემის ეტაპობრივი განვითარების მეთოდიკა და რეკომენდაციები“, რის მიხედვითაც საქართველოს ტერიტორია საჰაერო თავდაცვის რამდენიმე სექტორად უნდა დაიყოს და რომლებსაც სათავეში სექტორის მეთაური ჩაუდგება. მთელი ქვეყნის საჰაერო თავდაცვის საკითხზე კი პასუხისმგებლობა საჰაერო თავდაცვის სარდალს დაეკისრება. საჰაერო თავდაცვის პროექტის ავტორი გამანადგურებელი ავიაციის, საზენიტო-სარაკეტო ჯარების და საჯარისო საჰაერო თავდაცვის გასავითარებლად ერთიანი სახელმწიფო პროგრამის ჩამოყალიბების იდეასაც აყენებს.

გივი იასეშვილის სამეცნიერო მოხსენებაში საქართველოში 2008 წელს მომხდარი თითქმის ყველა პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელოვანი მოვლენა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის მოცემული, მათ შორის საქართველოს სამხედრო აკადემიის წევრების საქმიანობა, საქართველოს სამხედრო სფეროში მიმდინარე რეფორმის დეტალები და, ასევე, საქართველოს ნატოში ინტეგრაციისთვის გასავლელი ეტაპები, თუმცა ავტორი სამხედრო ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივის შესახებ პროგნოზის გაკეთებისგან თავს იკავებს და ძირითადი აქცენტი ფაქტების კიდევ ერთხელ გახმიანებაზე აქვს გადატანილი.

2008 წლის შემაჯამებელი მოხსენების პრეზენტაციაზე გივი იასეშვილმა საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის 2009 წლის საქმიანობის გეგმაც წარმოადგინა, სადაც აკადემიის მომავალი მუშაობის მთავარი მიზნებია გაწერილი. საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია მიმდინარე წელს აკადემიის წევრების გივი იასეშვილის, შოთა ნადირაშვილის, ლეო ჩიქავას, ალექსანდრე კუჭუხიძის, გივი ლეფონავას, გულაბერ ანანიაშვილის და გამარლი დოხნაძის კოლექტიური ავტორობით დაწერილი მონოგრაფიის ,,სამხედრო მეცნიერების და ინოვაციურ-ინფორმაციული ეკონომიკის განვითარების მეთოდოლოგიის“ გამოქვეყნებას და ნობელის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის კონკურსზე მის წარდგენას გეგმავს. ასევე, გამოიცემა კრებული, რომელიც მიძღვნილია სამხედრო მეცნიერების აკადემიის დაარსებიდან 10 წლისთავისადმი. საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მოხსენებას წაიკითხავს თემაზე: „საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის ორგანიზაციული და სამეცნიერო მუშაობის 1999-2009 წლის შედეგები და მომავალი ამოცანები“, — აღნიშნულია ნაშრომში.

ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, რომელიც 2009 წელს საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიამ შესასრულებლად დაისახა, საკანონმდებლო ფუნქციის მოპოვებაა. საკანონმდებლო სტატუსი საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიას ახალ ფუნქციებს და უფლება-მოვალეობებს შესძენს. ამ მიმართულებით საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის წევრები უკვე აქტიურად მუშაობენ.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტების მოგვარების გზა და პერსპექტივები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური ორგანიზაცია ,,ახალგაზრდული ცენტრის" მოწვევით თსუ-ში 22 თებერვალს ირაკლი ალასანიასთან შეხვედრა გაიმართა. „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტების მოგვარების გზებსა და პერსპექტივებზე ისაუბრა. მან ხელისუფლებაში ყოფნისას კონფლიქტების მოგვარების კუთხით გადადგმული ნაბიჯებიც განიხილა და სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა. ირაკლი ალასანიას განცხადებით, საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარება შესაძლებელია, რასაც დიდი დრო დასჭირდება, თუმცა, მანამდე, ქვეყნის ხელისუფლების უპირველესი ამოცანა სიტუაციის სტაბილიზაცია უნდა გახდეს.

ნატო ოგოლაძე

სტუდენტებთან საუბრისას „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერმა აფხაზებთან და ოსებთან მოლაპარაკებების გზით გარკვეული შეთანხმებების მიღწევის პერსპექტივაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს დიალოგი ორმხრივი უნდა იყოს. „აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის დარეგულირება მხარეების პირდაპირი და უშუალო შეხვედრების გზით შეიძლება. აფხაზებისა და ოსების მიზანია, რომ საკუთარი იდენტურობის შესანარჩუნებლად გრძელვადიანი სტაბილურობის პირობები შექმნას. საქართველოს ერთიან საზღვრებში ცხოვრების იდეა, ბუნებრივია, მათთვის ძნელად მისაღებია, მაგრამ თანაცხოვრების ფორმებზე საუბარს არ გაურბიან. უშუალო დიალოგისას, როდესაც მოლაპარაკების მაგიდას რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ, გარკვეული შეთანხმების მიღწევის პერსპექტივები ჩნდებოდა, თუმცა რუსი პოლიტიკოსები ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ აფხაზების ქართულ დელეგაციასთან პირისპირ დატოვებას“, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მოძრაობის „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერმა აფხაზეთთან და ოსეთთან დიალოგის დაწყების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად და შედეგის მომტან საშუალებად საქართველოს ეკონომიკურად გაძლიერება დაასახელა. ხელისუფლების ყოფილი წევრი ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაშვებულ შეცდომებზეც საუბრობს: ,,ჩვენ დაახლოებით 10-12 შეხვედრა გვქონდა აფხაზურ მხარესთან და შედეგად გაჩნდა შესაბამისი პირობები საიმისოდ, რომ თბილისსა და სოხუმში ორმხრივი შეხვედრები გამართულიყო. ბოლოს თბილისში აფხაზური დელეგაცია ჩამოვიდა დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის ხელმძღვანელობით. რამდენჯერმე სოხუმში ჩასული იყო ქართული დელეგაციაც. დავიწყეთ დოკუმენტის შემუშავება, რომელიც მიზნად ისახავდა შეთანხმებაში ორი ძირითადი პრიორიტეტის ასახვას: ეს იყო აფხაზების მიერ დევნილთა დაბრუნების უფლების აღიარება და ორ მხარეს შორის ცეცხლის განუახლებლობის შესახებ შეთანხმება. დღესაც მჯერა, რომ ეს ორი მთავარი პუნქტი ამ დოკუმენტში რომ ასახულიყო და მასზე ხელმოწერა შემდგარიყო, სამხედრო ესკალაციის საფრთხე საგრძნობლად შემცირდებოდა. ამით ჩვენ თავიდან ავიცილებდით 2008 წლის აგვისტოს ომს და მის სავალალო შედეგებს. პირველი შეთანხმება ცეცხლის განუახლებლობისა და დევნილთა უფლებების აღიარების შესახებ 2005 წლის დეკემბერში მომზადდა. შეთანხმებული იყო ყველა დეტალი, თუმცა არცერთ მხარეს არ ეყო პოლიტიკური გამბედაობა — ამ დოკუმენტზე ხელი მოეწერა," – იხსენებს ხელისუფლების ყოფილი წევრი.

სტუდენტები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ირაკლი ალასანიას შეხედულებით საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის სამომავლო პერსპექტივასთან დაკავშირებით. „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერს მიაჩნია, რომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა აუცილებელია.

მცირედი მონოლოგის შემდეგ სტუმარსა და სტუდენტებს შორის საინტერესო დიალოგი გაიმართა. საუბრის ერთ-ერთი აქტუალური თემა იყო 2009 წლის „ევროვიზიისთვის“ შექმნილი ქართველების საკონკურსო სიმღერის შეფასება. ირაკლი ალასანიამ აღნიშნა, რომ ასეთ ვითარებაში რუსეთთან გამაღიზიანებელი მესიჯების გაგზავნა მიზანშეწონილი არ არის.

„ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერმა მაქსიმალურად აარიდა თავი პოლიტიკური მოძრაობის სამომავლო გეგმებზე საუბარს და კორექტულად აღნიშნა, რომ სტუდენტებთან მისი შეხვედრა არაპოლიტიკური ხასიათისა გახლდათ.

რას გვკარნახობს მეცნიერების კომერციალიზაციის ესტონური გამოცდილება?

მე-2 გვერდიდან

— ეს არის მცდარი და ცუდი შეხედულება, რაც, გარკვეულწილად, გვამუხრუჭებს. ესტონელებმა, რომლებსაც საქართველოში მუშაობის გამოცდილება აქვთ, ამის შესახებ უკვე იციან და გვითხრეს კიდეც, რომ ქართველებს მოგება სწრაფად გვინდა და თან არა 5-10 პროცენტით კი არა, არამედ მინიმუმ 50 პროცენტით, რაც არამართებულია.

თუმცა არ ვიტყოდი, რომ საქართველოში ამგვარი გამოცდილების დანერგვა მიუღებელია, რადგან ჩვენ გვჭირდება ძალისხმევა და იმ წერტილამდე მისვლა, რომ დღევანდელი ეკონომიკა, ბიზნესი და მეცნიერება არ შეიძლება განვითარდეს ინოვაციების გარეშე. ჩვენ რომ ამ მიმართულებით დიდი სამუშაოები გვაქვს ჩასატარებელი, ამის დასტურია შარშანდელი ჩვენი შეკრება, როცა ინოვაციების გამოფენა გავაკეთეთ. გამოფენაზე, რომელიც გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტმა“ გააშუქა, დაახლოებით 80-მდე საინტერესო პროექტი იყო წარმოდგენილი, მაგრამ ერთი-ორი კაცის გარდა, ამ პროექტებით არც ერთი ბიზნესმენი არ დაინტერესდა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ამის კულტურა ჯერ არ არსებობს და მენტალურადაც ჩამოვრჩებით ესტონეთს.

— როგორ ფიქრობთ, უახლოეს მომავალში რა შეიძლება გაკეთდეს საქართველოში მეცნიერების კომერციალიზაციის განვითარების კუთხით?

— ბოლო, შემაჯამებელი ეტაპი ამ პროექტისა უკვე მარტში გაიმართება, მაგრამ ჩვენ ტალინში ყოფნისას უკვე დავიწყეთ მოლაპარაკება ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე, რაც საკმაოდ საინტერესო იქნება.

ერთ-ერთი რგოლი ამ ურთიერთობისა, ჩვენი აზრით, იქნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინოვაციური ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემის ოფისის შექმნა. პირველ ეტაპზე დიდი და მრავალკომპონენტიანი ოფისი სულაც არ სჭირდება ამ საქმეს. ამ ოფისმა უნდა მოახერხოს უნივერსიტეტსა და მის გარეთ საინტერესო პროექტების მოძიება და მათი ბიზნესისთვის გასაგებ ენაზე შეფუთვა. ამ მიზნით, ვფიქრობთ, მოვიპოვოთ რომელიმე ფონდის მხარდაჭერა 3-5 წლიანი არსებობისთვის. შემდეგ უკვე ამ ოფისმა თავად უნდა შეძლოს არსებობა და უნივერსიტეტში შემოსავლის შემოტანა.

ამავე დროს, დღეს საქართველოში დიდი ტექნოპარკის შექმნისთვის დისკუსიის გამართვაც შესაძლებელია. ტექნოპარკის ჩამოყალიბება თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მას წინ უნდა უსწრებდეს კვლევები — რა გვინდა, რისთვის ვართ მზად, რისი შენარჩუნება გვსურს და რა მიმართულებით უნდა დაინერგოს სიახლეები. ასე რომ, საუბრის დაწყება ამგვარი გამოცდილების დანერგვაზე, ვფიქრობ, დროულია.

გარდა ამისა, ტარტუსა და ტალინის უნივერსიტეტებში უკვე შევთანხმდით ჩვენთვის საინტერესო მიმართულებებზე (მეცნიერების მენეჯმენტი, მეცნიერების კომერციალიზაცია, ინოვაციური ცოდნის ტრანსფერი) დოქტორანტების გაგზავნასა და გაცვლაზე. ამ ეტაპზე უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები ფაკულტეტებთან და ცოტა ხანში უკვე სრულ სურათს მივიღებთ – რა ფორმით უნდა მოხდეს ამგვარი თანამშრომლობა ესტონელ კოლეგებთან.

სტუდენტური კონფერენცია კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრში

6 თებერვალს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრში გაიმართა. კონფერენციის თემა იყო: „ევროპის უსაფრთხოება და კავკასია“.

ასეთი ტიპის შეხვედრებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან სტუდენტებს საშუალება ეძლევათ — მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებისა თუ პროცესების შესახებ საკუთარი ხედვა გააცნონ კომპეტენტურ ექსპერტებს, სპეციალისტებს. კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი 1995 წელს დაარსდა, რომლის ხელმძღვანელია პროფესორი გიორგი ხუციშვილი. ცენტრი მუშაობს სამი მიმართულებით. ესენია: კონფლიქტის მხარეებთან მუშაობა, დიალოგი და საუბრები.

თამარ მარუაშვილი

„ვცდილობთ, განვავითაროთ გარკვეული კონტაქტები, რომლებიც კონფლიქტების მოგვარებასა და დარეგულირებაში მნიშვნელოვნად დაგვეხმარება. გარდა ამისა, ვატარებთ კვლევებს, ვაკეთებთ ანალიზს, ვაწარმოებთ გამოკითხვებს, ვმართავთ ტრენინგებს კონფლიქტების წინასწარმეტყველების, კონფლიქტის დროს მხარეთა მოქმედებისა და კონფლიქტების მოგვარების სხვადასხვა გზებზე. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გამოვცემთ წიგნებსა და ნაშრომებს“, — აღნიშნა ბატონმა გიორგი ხუციშვილმა.

კონფერენციას ესწრებოდნენ თავდაცვის ეროვნული აკადემიის პრორექტორი მალხაზ მაკარაძე და აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელვერ კუპატაძე, მეცნიერებათა დოქტორი, ვიცე-პოლკოვნიკი თემურ დალაქიშვილი, მეცნიერებათა დოქტორი, მაიორი ზურაბ მჭედლიშვილი, სამხედრო დოქტორი, ვიცე-პოლკოვნიკი გრიგოლ დანელია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლკოვნიკი მამუკა გოგიტიძე, ტოპოგრაფიული სამმართველოს კარტოგრაფიული განყოფილების უფროსი ნოდარ ხორბალაძე.

„კარგად ვიცნობ თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის პრიორიტეტებს... მთელი აქცენტი გადატანილია საგანმანათლებლო პროცესის გაძლიერებასა და განმტკიცებაზე, სასწავლო პროცესის სრულყოფაზე. დიდ სურვილს გამოვთქვამ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის დამყარების კუთხით, რადგან ვფიქრობ, რომ სამხედრო ძალებს ჭკვიანი, მოაზროვნე, განათლებული სპეციალისტები სჭირდება“, — აღნიშნა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ხელმძღვანელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ია ხუბაშვილმა, რომელიც ფლორენციაში რომუალდო დელ ბიანკოს ევროინტეგრაციის საერთაშორისო ფონდის ექსპერტია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III-IV კურსელებმა და ამავე ფაკულტეტის I კურსის მაგისტრანტებმა. კონფერენციას სულ 15 მომხსენებელი სტუდენტი ჰყავდა: თეონა დალაქიშვილი და ეთერ მუნჯიშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები („საქართველო-რუსეთის აგვისტოს ომი და ევროპის უსაფრთხოება“); გიორგი ასტამაძე და ირაკლი სოზიაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის მაგისტრანტები („პოლიტიკური ანარქია საქართველოში“); გიორგი გოჩიაშვილი და ირაკლი სოზიაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები („კავკასიონის გადმოსასვლელების მნიშვნელობა: წარსული, აწმყო, მომავალი”); ნინო ციხელაშვილი და ნათია ფირანიშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები („რელიგიური უსაფრთხოება ჩრდილოეთ კავკასიაში”) დავითი ბრაგვაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი („ყარაბაღის კონფლიქტი და კავკასიური ჩიხი“); ნინო მელელაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი (კონფლიქტების ისტორიული მეხსიერება და მისი თანამედროვე ასპექტები); მირანდა ბაშალეიშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის მაგისტრანტი („კონფლიქტი კავკასიაში და ირანის პოზიცია“); ქსენია გელოვანი, იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი („სამხრეთ კავკასიის რეგიონი ევროკავშირის სტრატეგიაში“); თამარ ლობჟანიძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, („სუამის როლი ევროპის უსაფრთხოებაში“); ჟიული ბაკანაშვილი და გიორგი უხურგუნაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები („ენერგოპროექტები და მათი როლი პოლიტიკაში“); თეონა ლავრელაშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი („საინფორმაციო ომი და დიპლომატია“); მაია შავიძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის მაგისტრანტი, ნიკა ჟღენტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი („ისრაელ-ჰამასის კონფლიქტი ღაზას სექტორში და საერთაშორისო ვითარება“); გიორგი ცომაია და ეთერ ცერცვაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები („ევროპის უსაფრთხოება, ნატო და ევროკავშირი“); ირაკლი ჟორჟოლიანი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის მაგისტრანტი („აშშ-სა და საქართველოს 2009 წლის 9 იანვრის ქარტია“); შორენა ხარაიშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, („ახლო აღმოსავლეთისა და საქართველოს საკითხი ამერიკა–რუსეთის ურთიერთობებში“).

კონფერენციის თემა: „ევროპის უსაფრთხოება და კავკასია“ ძალიან აქტუალური გახდა აგვისტოში ჩვენს ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური პროცესების შემდეგ. სტუდენტებმა საკუთარი ხედვა წარმოადგინეს ისეთ აქტუალურ საკითხებზე, რასაც ევროპის უსაფრთხოება და კავკასია ჰქვია. სტუდენტებმა მსოფლიოში მიმდინარე პროცესები საკუთარი მსოფლმხედველობის პრიზმაში დაინახეს და პრაგმატული მიდგომით ახსნეს ის სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზები, რამაც ეს პროცესები განაპირობა.

კონფერენცია თემატიკის მიხედვით მრავალფეროვანი იყო, განიხილეს მოვლენების თითქმის ყველა ასპექტი: პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, ეთნიკური და რელიგიური. სტუდენტებმა მსოფლიოს თითქმის ყველა ცხელ წერტილზე ისაუბრეს.

აღსანიშნავია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელი მაგისტრანტების გიორგი ასტამაძის თემა „პოლიტიკური ანარქია კავკასიაში“, მაია შავიძისა და მირანდა ბაშალეიშვილის (ხელმძღვანელი, პროფესორი ნანა გელოვანი) თემა — „კონფლიქტი კავკასიაში და ირანის პოზიცია“. სტუდენტებმა საინტერესო ნაშრომები წარმოადგინეს ყარაბაღის კონფლიქტებზეც (დავით ბრაგვაძე, IV კურსი).

„ამ კონფერენციამ ნათლად დაგვანახა ყველას, რომ ახალგაზრდები ეჩვევიან ევროპულ სახელმწიფოებრივ აზროვნებას, აქ წარმოდგენილი ნაშრომები გამოირჩევიან მაღალი აკადემიური დონით, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითშეგნებით. რაც მთავარია, ეს სტუდენტები იზრდებიან და ვითარდებიან ისეთ პოლიტიკოსებად, რომლებსაც ეროვნულ-პატრიოტული აზროვნება ახასიათებთ. დიდი იმედის მომცემია ის, რაც დღეს აქ მოვისმინე. ეს სტუდენტები ჩვენი ქვეყნის ღირსეული მომავალია“, — განაცხადა მეცნიერებათა დოქტორმა, ვიცე-პოლკოვნიკმა თემურ დალაქიშვილმა, რაშიც მას კოლეგა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელვერ კუპატაძეც დაეთანხმა.

„თითოეულ მომხსენებელში იგრძნობოდა ის აკადემიზმი და ცოდნა, რომელიც თამამად გაუტოლდება ახალგაზრდა მეცნიერის სამეცნიერო ნაშრომების დონეს. ამ ახალგაზრდებში დავინახე ანალიტიკური აზროვნების უნარი და ეროვნული სახელმწიფოებრივი ხედვა“, — განაცხადა კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი ხუციშვილმა.

სამხედრო აკადემიის წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს კონფერენციის ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს, პროფესორ ია ხუბაშვილს სტუდენტების მომზადებისათვის, მათი ამ საკითხებით დაინტერესებისათვის და იმ გეგმებისათვის, რომელიც მას სამომავლოდ აქვს განსახორციელებელი — იქნება ეს იტალიაში გამართული სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციაში ქართველების ღირსეულად წარმოჩენა თუ სულ ახლახან დაარსებული ასოციაციის „ღია დიპლომატია“ მიზნების განხორციელება, რომლებიც ქართველი, ოსი და აფხაზი სტუდენტების გაერთიანებასა და სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტების ერთობლივ მუშაობას გულისხმობს.

კონფერენციის მსვლელობისას სტუდენტებსა და სპეციალისტებს შორის საინტერესო დისპუტი გაიმართა.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციამ მუშაობა წარმატებულად დაასრულა და მომავალი კონფერენციისათვის, რომელიც ახალი მსოფლიო წესრიგის აქტუალურ საკითხებს შეეხება, აქტიურ მზადებას შეუდგა.

ფლორენციაში მრგვალ მაგიდასთან

19-23 თებერვალს ფლორენციაში რომუალდო დელ ბიანკოს საერთაშორისო ფონდის ექსპერტთა მრგვალი მაგიდის შეხვედრა გაიმართა, სადაც ექსპერტებს 2009-2010 წლის სამუშაო პროგრამა უნდა შეემუშავებინათ. შეხვედრას ესწრებოდნენ ამერიკის, საფრანგეთის, ბრაზილიის, აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის, ასევე, რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლები. საქართველოდან წარგზავნილი დელეგაცია საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო: თსუ-ის პროფესორი ია ხუბაშვილი, პროფესორი გიული ალასანია, სამხატვრო აკადემიის რექტორი გია ბუღაძე, სამხატვრო აკადემიის მედია-ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი ნანა იაშვილი და რუსთაველის ფონდის დირექტორი, პროფესორი თინა ბოჭორიშვილი.

რომუალდო დელ ბიანკოს საერთაშორისო ფონდის ექსპერტი, პროფესორი ია ხუბაშვილი აუდიტორიის წინაშე წარსდგა საინტერესო და აქტუალური მოხსენებით: „ევროპის უსაფრთხოება და კავკასია”, რომელმაც ექსპერტთა დიდი ინტერესი და ყურადღება დაიმსახურა.

თამარ მარუაშვილი

ამ მნიშვნელოვანი ვიზიტის შესახებ გვესაუბრება ქალბატონი **ია ხუბაშვილი**:

— შრომის კავალერის რომუალდო დელ ბიანკოს სიკვდილის შემდეგ, მისმა ვაჟმა პაულო დელ ბიანკომ გადაწყვიტა მამის სახელობის ფონდი დაეარსებინა. ეს ქართველებისთვის უცხო სახელებია, მაგრამ იტალიაში, კერძოდ, ფლორენციაში დიდად პატივცემული პერსონები არიან.

შვილმა პაულო დე ბიანკომ მამის პატივსაცემად მსოფლიოს წინაშე წამოაყენა ცოდნის პროგრამა: „ფლორენციაში საერთაშორისო შეხვედრების პროექტი“. მისი მიზანია ფლორენციის მსოფლიოსთვის გაცნობა — „ფლორენციისთვის, კულტურისთვის, მეგობრობისთვის — ახალგაზრდებს შორის“.

რუსთაველის ფონდის დირექტორის, ქალბატონ თინა ბოჭორიშვილის ვიზიტს სერიოზული მისია ჰქონდა. რომუალდო დელ ბიანკოს საერთაშორისო ფონდსა და რუსთაველის ფონდს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. რომუალდო დელ ბიანკოს საერთაშორისო ფონდი ევროინტეგრაციის გაძლიერებას, გაფართოებას ემსახურება და ამდენად, ამ ფონდთან თანამშრომლობა ქართული მხარისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ქალბატონი თინა, ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, დაინტერესებულია დააფინანსოს ქართველი პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სიმპოზიუმებში.

მე-10 გვერდზე

ფლორენციაში მრგვალ მაგიდასთან

მე-9 გვერდიდან

ექსპერტთა მრგვალი მაგიდის სხდომაზე დიდი დაინტერესება და განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ბატონ გიორგი ხუბუას მიერ წარდგენილმა პროექტმა: „რეგიონალიზმის მოწყობის პერსპექტივები საქართველოში“. ბატონი გია მიწვეული იყო ექსპერტთა შეხვედრაზე, როგორც ფონდის ექსპერტი, მაგრამ პრაღაში დაგეგმილი ვიზიტის გამო მონაწილეობის მიღება ვერ შეძლო.

ასევე, საინტერესო და აქტუალური იყო პროფესორ გიული ალასანიას პროექტი: „გლობალიზაცია და ცივილიზაციათა დიალოგი“. რადგან შეხვედრას რუსებიც ესწრებოდნენ, ცოტა დაძაბულები ვიყავით. მოხსენების შემდეგ გამოვიდა მოსკოვის საზღვარგარეთის ლიტერატურის ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, რომელმაც განაცხადა, რომ კულტურა — ყველაზე კარგი დიპლომატიაა და რომ ერებს შორის არ უნდა გაწყდეს ის ურთიერთობები, რაც ტრადიციულად არსებობს.

აღსანიშნავია, ფლორენციის რომუალდო დელ ბიანკოს ფონდის განსაკუთრებული სურვილი და მზაობა თსუ-თან თანამშრომლობის. შარშან თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა მიწვეული იყო ამ ფონდის 10 წლის იუბილეზე, რომელსაც მთელი მსოფლიოს 300-მდე წამყვან უნივერსიტეტთან აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება. იუბილეზე მოწვეული იყო 25 ქვეყნის განათლების მინისტრი და უმაღლესი სასწავლებლის რექტორი. სწორედ მაშინ გაფორმდა, ოფიციალურად, თსუ-სა და ამ ფონდს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, თუმცა თსუ-ს ამ ფონდთან უკვე დიდი ხნის თანამშრომლობა აკავშირებს.

შეხვედრაზე დაიგეგმა პროფესორ გიორგი ხუბუას, პროფესორ გიული ალასანიასა და ჩემი პროექტებით სამი სამეცნიერო სიმპოზიუმისა და სტუდენტების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის გამართვა 2009-2010 წლებში. 2010 წლის 31 იანვრს დაგეგმილია სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომლის თემა იქნება: „რენესანსის ეპოქის სამოქალაქო ჰუმანიზმი და მისი ტრანსფორმაცია თანამედროვეობაში“.

აღსანიშნავია, რომ 2003 წლიდან მე და ჩემი სტუდენტები სისტემატიურად ვიღებთ მონაწილეობას ფლორენციაში გამართულ სტუდენტთა და პროფესორთა საერთაშორისო კონფერენციებში, რომლის ჟიურის წევრიც გახლავართ. შარშან გამართულ კონფერენციაზე გაიმარჯვა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტმა გიორგი ასტამაძემ, რომელიც დაჯილდოვდა ფლორენციაში ერთი წლით სასტუმროს უფასო მომსახურეობით და სერტიფიკატით.

ასეთი ტიპის შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია. სტუდენტები ამ კონფერენციაზე საკუთარი ქვეყნის გასაცნობად, ეროვნული კულტურის წარმოსაჩენად პრეზენტაციას აწყობენ. ერთი კვირის განმავლობაში ისინი ფლორენციაში ინტეგრირებულ ჯგუფებად მუშაობენ. ყველა ქვეყნის სტუდენტურ ჯგუფს თავისი ხელმძღვანელი ჰყავს. პროექტის ლიდერი მათ თემას აძლევს. ახალგაზრდები ეცნობიან იტალიის ისტორიულ ძეგლებს, კულტურულ ფასეულობებს. შემდეგ ისინი ჟიურის წინაშე წარმოადგენენ თემას ფლორენციაში ერთკვირიანი ვიზიტის შთაბეჭდილებების შესახებ. კონკურსის ყველა მონაწილე იღებს სერტიფიკატს, გამარჯვებული კი ჯილდოვდება 1 წლის განმავლობაში ფლორენციის ერთ-ერთი სასტუმროს უფასო მომსახურეობით.

ფონდის პრეზიდენტმა პაოლო დელ ბიანკომ საგანგებოდ აღნიშნა ქართველი სტუდენტების ინტელექტისა და კულტურის მაღალი დონე.

აქვე მინდა მადლობა გადავუხადო თსუ-ის რექტორს ფინანსური მხარდაჭერისთვის.

დიდებული ჰარმონიის მაძიებელი

თამაზ ბიბილურის საღამო უნივერსიტეტში

მწერლის შემოქმედებითი სიცოცხლე მაშინ გრძელდება, თუ მისი გარდაცვალების შემდეგაც ისეთივე ინტერესით ეცნობიან მის ნაწარმოებებს, როგორც მის სიცოცხლეში. თანამედროვეობის ერთ-ერთი კლასიკოსის, მწერალ თამაზ ბიბილურის შემთხვევაში პირიქით ხდება. ის სიცოცხლეში გარკვეულად ჩრდილში იდგა, დღეს კი მის კითხვას იწყებს ახალგაზრდობა, რაც იმის დასტურია, რომ თამაზ ბიბილურის პუბლიცისტური, ესსეისტური და მხატვრული შემოქმედება სიცოცხლეს განაგრძობს, მის მიერ დასმული აქცენტები კი დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც რამდენიმე ათეული წლის წინ.

მაია ტორაძე

თამაზ ბიბილურის შემოქმედებით მემკვიდრეობაზე ბოლო დროს ბევრს წერენ კრიტიკოსები და ლიტერატურათმცოდნეები. ამჟამად კი მისი მწერლური ბიოგრაფიით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტები დაინტერესდნენ. მათ გამართეს საღამო, რომელსაც თამაზ ბიბილურის მეგობრები, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები, მწერლები, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ესწრებოდნენ.

საღამოს უძღვებოდნენ სტუდენტები: სალომე აჩბა, ქეთი გერსამია, ლონდა ბერია, ანი კიკნაძე, მარიამ მათეიშვილი, გიორგი ბერიძიშვილი, ხატია უგრეხელიძე. სტუდენტებს კონსულტაცია გაუწიეს ლექტორებმა – მაია კვეზერელი-კოპაძემ და ელენე კოშორიძემ.

გამომსვლელები იხსენებდნენ ადამიანური ღირსებებით გამორჩეულ კაცს – მწერალს, ჟურნალისტსა და პუბლიცისტს, ადამიანს, რომლის კეთილშობილებამ და თავმდაბლობამ უდიდესი კვალი დატოვა ყველა იმ სფეროში, სადაც კი მას უმოღვაწია.

როსტომ ჩხეიძე, მწერალი, კრიტიკოსი:

— თამაზი ქართულ ლიტერატურას ახსოვს როგორც ჟურნალისტი, ნოველისტი, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი, რომელმაც წიგნით „წელიწადის დრონი“ მთელი თავისი შემოქმედება დააგვირგვინა. თამაზ ბიბილური არ ყოფილა სიცოცხლეში გახმაურებული და გარდაცვალების მერეც ვალში ვართ მისი ხსოვნის წინაშე. თუმცა ქალბატონი თიურას — მისი მეუღლის ძალისხმევით, იმართება საღამოები და გამოიცა რამდენიმე წიგნიც, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ცოტაა — მისი სახელი უნდა დამკვიდრდეს ჩვენი საზოგადოების ცნობიერებაში, რადგან მას ძალიან სჭირდება თამაზ ბიბილური.

თამაზი ძალიან ხვავიანი არ ყოფილა, მაგრამ მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ბიოგრაფია დატოვა. ნოველის, პუბლიცისტიკის, ესსეისტიკის და რომანისტიკის ანთოლოგია რომ შედგეს, თამაზის ადგილი ყველგან იქნება. ის მოკრძალებული კაცი გახლდათ და ამ თვისებამ კინაღამ დაღუპა, როგორც მწერალი.

მისმა დებიუტმა, რომელიც ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანის დიდი ძალისხმევით შედგა, საზოგადოების დიდი ინტერესი მაშინვე გამოიწვია. როდესაც ჟურნალი „ცისკარი“ გაიხსნა და მისი რედაქტორი ასევე უდიდესი პიროვნება ვახტანგ ჭელიძე გახდა, ბატონმა ჯანსუღმა თამაზ ბიბილურის ნოველები ვახტანგ ჭელიძესთან მიიტანა და თავიდან ბოლომდე ხმამაღლა წაუკითხა. ამ წუთიდან შემოვიდა თამაზ ბიბილური ლიტერატურაში.

რომ გადახედოთ ქართული ლიტერატურის ისტორიას, ისეთი წყვეტილობა, როგორსაც თამაზის შემოქმედებაში ვხვდებით, არსად შეინიშნება. პირველი ნოველების გამოქვეყნებიდან 10 წლის შემდეგ დაიბეჭდა მისი მოთხრობები, რის შემდეგაც მომდევნო სერიის დაბეჭდვამდე კიდევ 10 წელი გავიდა.

აქ აუცილებლად უნდა ვახსენოთ თამაზის „ჟამი კითხულისა“, რომელიც გურამ ასათიანმა საუკეთესო რომანთა შორის მოიხსენია. მაშინ გამოჩნდნენ სკეპტიკოსები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ეს ნაწარმოები მარკესის გავლენით არის შექმნილი, მაგრამ დრომ დაამტკიცა, რომ ის მთლიანად ქართული სამყაროდან და ფესვებიდან მოდიოდა. გავლენებით შექმნილი ნაწარმოები მალე იკარგება. თამაზის „ჟამი კითხულისა“ კი დღესაც ისეთივე აქტუალურია, როგორც მაშინ.

გული გვწყდება, რომ თამაზმა ვერ მოასწრო და ვერ დაწერა ბიოგრაფიული რომანი ვაჟა-ფშაველაზე. ის ამ თემაზე წლების მანძილზე მუშაობდა და გამოქვეყნებული სტატიების მიხედვით ივარაუდება, თუ რა ბრწყინვალე წიგნი უნდა ყოფილიყო. უნდოდა დაეწერა რომანი გიორგი ათონელზე... ესეც ვერ მოასწრო... სამწუხაროდ, თამაზი პროზისთვის ძალზე ადრე წავიდა ამქვეყნიდან. ალბათ სხვა ჩანაფიქრიც ბევრი ჰქონდა, მაგრამ, ამ ორი წიგნის დაუსრულებლობა მაინც დასანანია.

უნდა ვახსენოთ თამაზ ბიბილურის „წელიწადის დრონი“. ეს არის უიშვიათესი ლიტერატურული ქმნილება, რომელსაც სხვა თვალი და სხვა განზომილება სჭირდება. იაკობ

გოგებაშვილი დედაენას წლების მანძილზე ხვეწდა და აშალაშინებდა. სიკვდილის წინ კი განუცხადებია — მივაღწიე იმას, რომ ამ წიგნებს მეფე ერეკლეც ვერ დაიწუნებსო... თუ ასე შევხედავთ, თამაზის „წელიწადის დრონს“, მას ვერც მეფე ერეკლე დაიწუნებს და ვერც თავად იაკობ გოგებაშვილი“.

საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ თამაზ ბიბილურის თანაკურსელი, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, მისი მოსწავლეები და მეგობრები: სპარტაკ ქობულია, გოჩა ხუნდაძე, მანანა ბაღაშვილი, დალი ჩიკვილაძე, დიანა ტყებუჩავა, ელენე კოშორიძე. მათ გამოსვლას თან ახლდა სიამაყე თამაზ ბიბილურთან გატარებული წლების გამო და სინანული იმისა, რომ მწერალი ადრე გარდავიდა ამქვეყნიდან.

ელენე კოშორიძე, თსუ-ის პროფესორი:

— ამ ბავშვებს შარშან გავაცანი ორი წიგნი: „ფრაგმენტები და გაბნეული ჩანაწერები“ და „დიდებული ჰარმონიის მაძიებელი“, რომლებიც თამაზ ბიბილურის მეუღლის' ქალბატონ თიურა ვაშაძის ძალისხმევით გამოიცა. მინდოდა სცოდნოდათ, ვინ იყო თამაზ ბიბილური. ამ წიგნებმა და თამაზის შემოქმედებამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა სტუდენტებზე, რომ ამ საღამოს გამართვის სურვილი მათ თავად გაუჩნდათ. ჩემი აზრით, სწორედ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან უნდა ვიმუშაოთ ასეთი მეთოდებით, რადგან მარტო სწორად წერა კი არ უნდა ვასწავლოთ მათ, არამედ სწორად აზროვნებაც. თამაზი კი ამ მხრივ კარგი მასწავლებელია.

მაია კვეზერელი-კოპაძე, თსუ-ის პროფესორი:

— ეს ბავშვები მეორეკურსელები არიან. მათთან შარშან ვიმუშავეთ მე და ქალბატონმა ელენე კოშორიძემ და მარტო გრამატიკას კი არ ვასწავლიდით, ვაცნობდით მეტყველების კულტურის საკითხებს, ქართულ მწერლობას, პუბლიცისტიკას. გვქონდა შემოქმედებითი გაკვეთილებიც. აღმოჩნდა, რომ უმრავლესობას თამაზ ბიბილურის შემოქმედებაზე წარმოდგენა არ ჰქონდა. გავაცანით მისი წერილები: „ფიქრები“, „ელიტა და პროვინციელი“ „სიყვარული და სიძულვილი“, „მარტოობა და სევდა“, „ასე იტყოდა ოთარაანთ ქვრივი“, „ბატონი უნივერსიტეტი“. მათზე დაყრდნობით უამრავი კარგი თემა დაიწერა და შეუყვარდათ ეს ადამიანი – როგორც მწერალი, როგორც პუბლიცისტი და ჟურნალისტი. სტუდენტებმა თვითონ მოინდომეს მისი გახსენება... მართალია, ხარვეზები იყო მათ გამოსვლაში, მაგრამ საერთო ჯამში ეს ძალიან კარგი ღონისძიებაა, რადგან რაც უფრო ხშირად გავიხსენებთ ასეთ ადამიანებს, ეს მათი ხსოვნის უკვდავყოფაც იქნება და ახალგაზრდობისთვის კარგი გაკვეთილიც.

საღამოს ჩატარების გამო კმაყოფილება გამოთქვა ქალბატონმა თიურა ვაშაძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა სტუდენტებს და მათ ლექტორებს — ელენე კოშორიძესა და მაია კვეზერელი-კოპაძეს, რომლებმაც კიდევ ერთხელ გააცოცხლეს მწერალი უნივერსიტეტის კედლებში და ინტერესი გაუღვივეს სტუდენტებს — გაცნობოდნენ თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს პუბლიცისტსა და შემოქმედს – თამაზ ბიბილურს!

შეხვედრა ფონდ „იავნანას“ ქველმოქმედების მხარდასაჭერად

შურთხია ბეროშვილი

„გაზაფხულია? — არა! — ჯერ არ დამდგარა მათ თვალებში...

გაზაფხულია ჩემთვის, შენთვის, ჩვენთვის... გაზაფხულია 3 მარტი — როცა დედა გყავს და მისი კალთის ქვეშ ვარდისფრად გაივლიან ბავშვობის წლები....

მათ დედა უნდათ!... გაზაფხულია? არა! — ჯერ არ დამდგარა მათ მღვრიე თვალებში... “

ასე გამოხატა თავისი დამოკიდებულება და ემოცია სტუდენტმა ბექა ნიკოსანმა 3 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის დარბაზში გამართულ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „იავნანას“ პრეზიდენტთან პაატა ბურჭულაძესთან შეხვედრაზე.

უნივერსიტეტის სტუდენტური ორგანიზაცია „ახალგაზრდული ცენტრის“ ინიციატივით გამართულ ღონისძიებაზე სტუდენტებმა სურვილი გამოთქვეს — შეერთებოდნენ ფონდის მიერ გრანდიოზული გალაკონცერტის დროს გამართულ ტელემარათონს, რომელიც ამავე დღეს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა.

„ახალგაზრდული ცენტრის“ ხელმძღვანელი დიანა ლიპარტელიანი მიესალმა პაატა ბურჭულაძეს და მის დამსახურებაზე ისაუბრა.

ცნობილმა მომღერალმა და მეცენატმა აღნიშნა, რომ ეს მადლობის გამომხატველი სიტყვები მხოლოდ მას არ ეკუთვნის, რადგან დამოუკიდებლად ვერაფერს შეძლებდა. „მხოლოდ ერთადერთი რამ გავაკეთე: ყველას, ვისაც სიკეთის კეთება და ქველმოქმედება სურდა, საშუალება მივეცი შეკავშირებულიყვნენ. მადლობელი ვარ, რომ ჩვენს ინიციატივას ახალგაზრდობაც უერთდება. მერწმუნეთ, ერთ ადამიანს მხარდაჭერისა და თანადგომის გარეშე არაფრის გაკეთება შეუძლია“, — აღნიშნა მან სტუდენტებთან საუბრისას.

პაატა ბურჭულაძემ ფონდის მიზნებსა და განსახორციელებელ პროექტებზე ისაუბრა. მისი ინფორმაციით, 2004 წელს, როდესაც ფონდი დაარსდა, საქართველოს ბავშვთა სახლებში 5200 ბავშვი ცხოვრობდა, მათგან სრულიად ობოლი მხოლოდ 156 იყო. უკიდურესი გაჭირვება მშობლებს აიძულებდათ შვილები ბავშვთა სახლებისთვის მიებარებინათ.

საქველმოქმედო ფონდმა დაარსებიდან დღემდე ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვების დასახმარებლად საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ 30 საქველმოქმედო საღამო გამართა, სოციალურად დაუცველი 33 ოჯახისთვის საცხოვრებელი ბინა შეიძინა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ფონდ „იავნანასა“ და სხვა არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით საკუთარ ოჯახს, დაახლოებით, 2000 ბავშვი დაუბრუნდა.

შეიქმნა „იავნანას სამეგობროები“, რომელთა მიზანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება და მათი გამთლიანებაა. პაატა ბურჭულაძის თქმით, აქციაში მონაწილეობა ყველა მსურველს შეუძლია.

„საქართველოში უამრავი ბავშვია მშობლიურ კერას დანატრებული. ერთი პერიოდი ეს რიცხვი თითქოს შემცირდა, მაგრამ რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ კვლავ გაიზარდა. მიხარია, რომ დღითი-დღე თანამოაზრეები გვემატება. მინდა თქვენც მიაწვდინოთ ხმა თქვენს მეგობრებს, რათა ისინი სურვილისა და შესაძლებლობის მიხედვით დაეხმარონ მათ“, — მოუწოდა პაატა ბურჭულაძემ სტუდენტებს.

მომღერალი სტუდენტებს ფონდის მიერ დაგეგმილ სამომავლო პროექტებზეც ესაუბრა. მისი ინფორმაციით, უახლოეს მომავალში თბილისში საქველმოქმედო კონცერტებს გამართავენ ცნობილი საოპერო ვარსკვლავები, მათ შორის, ქართველი ტენორი ბადრი მაისურაძე. იგეგმება ასევე სერგო ზაქარიაძის 100 წლის იუბილის აღნიშვნა, 2012 წელს კი ფონდი „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვიდან 300 წლისთავს იზეიმებს, რომელიც გრანდიოზული ღონისძიებით დაგვირგვინდება. „იმედი მაქვს, უნივერსიტეტი აქტიურად ჩაებმება ამ დიდ მამულიშვილურ საქმეში, ჩვენი ყველაზე დიდი მხარდამჭერი კი სწორედ სტუდენტობა იქნება“, — განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების სახელით ფონდის დამაარსებელს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუაც მიესალმა, რომელმაც ვრცლად ისაუბრა მომღერლის მოღვაწეობასა და მის დამსახურებაზე.

„დღევანდელმა დღემ საშუალება მოგვცა, კიდევ ერთხელ გადაგიხადოთ მადლობა ყველაფრისთვის. ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია ქველმოქმედების ის კულტურა, რასაც თქვენ ამკვიდრებთ. საჭიროა, ადამიანებს ხშირად შევახსენოთ, რომ სწორედ სიკეთის კეთებაა მათი მთავარი მისია, ყველა ჩვენგანმა გულთან ახლოს უნდა მიიტანოს თავისი მოყვასის გასაჭირი და დაეხმაროს მას. მიხარია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ამ განწყობით შეიკრიბა და თქვენთან ერთად ცდილობს ჩაერთოს ისეთ კეთილშობილურ საქმეში, რასაც ქველმოქმედება ჰქვია“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

საქველმოქმედო ფონდის „იავნანას“ სლოგანს: „უამბე ამ აქციის შესახებ მეგობარს!“ შეუერთდნენ უნივერსიტეტის თვითმმართველობის წევრებიც. მათი ვიცე-პრეზიდენტის ირაკლი სამხარაძის თქმით, საზოგადოების ვალია, გვერდით დაუდგეს გაჭირვებულ და უსახლკარო ბავშვებს და თუნდაც მორალურად გაამხნევოს ისინი.

„ახალგაზრდული ცენტრის“ წარმომადგენელთა ინფორმაციით, უახლოეს მომავალში საქველმოქმედო აქცია მათი ინიციატივითაც გაიმართება, შემოსული თანხა კი ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს გადაეცემა. ღონისძიებაზე სტუდენტებმა თავიანთი შემოქმედებაც წარმოადგინეს. უმეტესობამ სიმღერა თუ ლექსი დედას მიუძღვნა.

ვაჟა გუჯაბიძის ხსოვნას

14 თებერვალს 70 წელი შეუსრულდებოდა ცნობილ ქართველ მეცნიერს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს ვაჟა გუჯაბიძეს. ბატონი ვაჟას მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა ყოველთვის აღძრავდა მისი პიროვნების მიმართ მოწიწებისა და პატივისცემის გრძნობას. იგი იყო ღირსეული ოჯახიშვილი, საუკეთესო სპეციალისტი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი.

ვაჟა გუჯაბიძე 1939 წლის 14 თებერვალს დაიბადა. 1961 წელს დაამთავრა თსუ-ის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1966 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „კოლხეთის მოსახლეობის გეოგრაფია“.

1965 წლიდან იგი მუშაობდა თსუ-ის სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე, ხოლო 1974-1987 წლებში იყო ამავე კათედრის გამგე. 1990-1992 წწ. შეთავსებით მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში მიგრაციისა და განსახლების განყოფილების გამგედ.

1976 წელს ფულბრაიტის პროგრამის ფარგლებში იმყოფებოდა აშშ-ში, სადაც ლექციებს კითხულობდა პორტლენდის, ოჰაიოს, სანფრანცისკოსა და ჰავაის უნივერსიტეტებში. 1979-1981 წწ. მუშაობდა ერაყში ხალხთმოსახლეობის პოლიტიკის სფეროში გაეროს უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე. ამ პერიოდში მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ხუთი სქელტანიანი ტომი, რომლებშიც დეტალურადაა განხილული ერაყის მოსახლეობის დემოგრაფიული პრობლემები. ამ ნაშრომებმა გაეროს მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ვაჟა გუჯაბიძე 1976-1990 წწ. იყო საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის ქალაქებისა და განსახლების სისტემების წევრი, ხოლო 1990-1995 წწ. ევროპის დემოგრაფიული ასოციაციის დემოგრაფიული კომისიის წევრი.

ქვეყნისთვის რთულ პერიოდში, 1992-1995 წწ. ვაჟა გუჯაბიძე საქართველოს შრომის, სოციალური დაცვისა და დასაქმების მინისტრი გახლდათ.

ვაჟა გუჯაბიძეს პატივს სცემდნენ მისი კოლეგები რუსეთში, აშშ-ში, პოლონეთში, დიდ ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში. მას გამოქვეყნებული აქვს ათეულობით სამეცნიერო ნაშრომი გეოდემოგრაფიის, გეოურბანისტიკის, განსახლების სისტემის ტერიტორიული ორგანიზაციისა და ეკოლოგიური განვითარების თემებზე, როგორც ქართულ, ასევე დასავლეთის სამეცნიერო-კვლევით პერიოდიკაში.

მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართველი გეოგრაფების მრავალი პლეადის აღზრდაში. თსუ-ის სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის (ამჟამად საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების) კურსდამთავრებულები დღესაც მნიშვნელოვან სახელმწიფო თანამდებობებზე მუშაობენ.

ბატონმა ვაჟამ შექმნა ლამაზი, ქართული ოჯახი. იყო კარგი მეუღლე, მამა და ბაბუა.

ბატონი ვაჟა გუჯაბიძის ნათელი სახე მუდამ დარჩება მისი ახლობლებისა და კოლეგების ხსოვნაში.

კოლეგების ჯგუფი

ზურაბ ჭარხალაშვილმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართულ გერმანისტიკაში

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ ჭარხალაშვილი 80 წლის ასაკში, თავის დაბადების დღეს, 17 თებერვალს გარდაიცვალა. მის მძიმე ფიზიკურ მდგომარეობას სულიერიც ემატებოდა – ძალიან განიცდიდა უნივერსიტეტიდან წასვლას და პენსიონერის ყოფას ვერ ეგუებოდა.

მეტად ნაყოფიერი გახლდათ ლიტერატურათმცოდნის, მთარგმნელის, თეორეტიკოსის განვლილი ცხოვრების გზა. 50-ზე მეტი სტატია, 3 მონოგრაფია, სტატიების კრებული — ასეთია ზურაბ ჭარხალაშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა. იგი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოჩნდა ქართულ გერმანისტიკაში და ახალი იდეების, ახალი ინტერესების განხორციელების გზები დასახა. ამ დროს ჯერ კიდევ ნაყოფიერად მოღვაწეობდა უფროსი თაობა, რომელმაც კლასიკური მემკვიდრეობისა და გერმანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევით საფუძველი ჩაუყარა ქართულ გერმანისტიკას. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის წნეხის ქვეშ მოქცეული უფროსი თაობა, ძალაუნებურად, შედარებით უხიფათო საკვლევ სფეროებს ირჩევდა და ყურადღების მიღმა რჩებოდა თანამედროვე ლიტერატურა.

ალბათ კლასიკური ლიტერატურის შემსწავლელი მძლავრი სკოლის არსებობამ განაპირობა ის, რომ ზურაბ ჭარხალაშვილის მეცნიერული მოღვაწეობაც კლასიკის კვლევით დაიწყო. ამას მოწმობს მისი ნაშრომები: „ფრ. შილერის შემოქმედების მეცნიერული გაგებისათვის“, „ხელოვნების დანიშნულების საკითხი ფრ. შილერის ესთეტიკაში“, „ჰაინეს „სიმღერათა წიგნი“ და გერმანული რომანტიზმი“, „ფაუსტი და თანამედროვეობა“ და სხვა. მოგვიანებით ბატონი ზურაბი თანამედროვე გერმანულენოვანი ლიტერატურით დაინტერესდა. მისთვის განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ბერტოლტ ბრეხტის შემოქმედების კვლევა. ეს ის პერიოდი იყო, როცა ბრეხტის დრამატურგიამ ქართული თეატრის მოღვაწეთა ყურადღება მიიპყრო. დაიდგა სპექტაკლები: „სამგროშიანი ოპერა", „კავკასიური ცარცის წრე", „სეჩუანელი კეთილი კაცი". ზურაბ ჭარხალაშვილის ნაშრომები: „ზოგიერთი ახალი ტენდენციის შესახებ თანამედროვე დრამაში“, „ეპიკური" დრამისა და თეატრის ისტორიისათვის“, „გაუცხოება" ლიტერატურასა და ხელოვნებაში“, „ბერტოლტ ბრეხტის ადრეული დრამატურგია“, „დრამატურგის ოსტატობა“ და სხვა ხელს უწყობდა ბრეხტის შემოქმედების სწორად აღქმას და წვლილი შეჰქონდა ახალი თეატრალური აზროვნების განვითარებაში.

ზურაბ ჭარხალაშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიასაც. საკმარისია აქ დავასახელოთ ნაშრომები: „რეალიზმი არ არის მარტო ლიტერატურული საქმე", „ექსპრესიონიზმი XX საუკუნის გერმანულ ლიტერატურაში (ხელოვნების თეორიის ზოგიერთი საკითხი)“, „მოდა თუ კანონზომიერება“, „მხატვრული თარგმანის მეცნიერული თეორიისათვის“ და სხვა.

ზურაბ ჭარხალაშვილის ნაშრომების უმრავლესობა წიგნებადაა გამოცემული, იგი მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, იყო სადისერტაციო საბჭოს წევრი, ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას, რისთვისაც დაიმსახურა ავსტრიის სახელმწიფო პრემია, ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის წევრობა. 11 წლის მანძილზე გახლდათ თსუ-ის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანი.

ზურაბ ჭარხალაშვილმა და მისმა თაობამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართულ გერმანისტიკაში. მათ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ბატონობის ხანაში შეძლეს დასავლური აზროვნების შემოტანა, დაამკვიდრეს ახალი თეორიები და მეთოდოლოგიები.

დალი ფანჯიკიძე

ჟურნალ Which-ის თანამშრომლებმა საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარეს. ინტერნეტ-აუქციონის eBay-ის მეშვეობით რამდენიმე ნახმარი კომპიუტერი შეიძინეს და უკვე წაშლილი 22 ათასი ფაილის აღდგენა შეძლეს. ჟურნალის თანამშრომლების განცხადებით, უკვე გაჩნდა თაღლითობის ახალი სახე, როდესაც ნახმარი ან გადაყრილი კომპიუტერებიდან სასარგებლო ინფორმაციას კრებენ და თავის სასარგებლოდ იყენებენ. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ვინჩესტერიდან ინფორმაციის სრული ამოშლა პრაქტიკულად შეუძლებელია, მისი აღდგენა ელემენტარული პროგრამებით შეიძლება, ამიტომ მომხმარებელს ურჩევენ — თაღლითებისგან თავის დასაცავად მყარი დისკი მოხსნან და ჩაქუჩით დაამტვრიონ. თანაც ამტკიცებენ, რომ ვინჩესტერები ჭარბად შეიცავს გარემოს დამაბინძურებელ მასალას, ამიტომ სასურველია, ეს ნამსხვრევები იმ გამყიდველს ჩააბარონ, ვისგანაც ახალ ვინჩესტერს შეიძენენ.



ბრიტანელმა უფოლოგებმა განაცხადეს, რომ ლინკოლნშირის საგრაფოში ქარის წისქვილი უცნობმა მფრინავმა ობიექტმა დააზიანა. ქალაქ სონიჰოლმის ქარის წისქვილს ერთი ოცმეტრიანი ფრთა მთლიანად მოწყდა, მეორე კი სერიოზულად დაუზიანდა. ადგილობრივი საბჭოს ხელმძღვანელმა რობერტ ჰალმერმა განაცხადა, რომ სინათლის თეთრი, მრგვალი ლაქა დაინახა, რომელიც ჰაერში ეკიდა. საზოგადოება Electricity-მ, ვისაც ეს წისქვილი ეკუთვნის, გაავრცელა განცხადება, რომ ინციდენტს იკვლევს, ფრთების ნამსხვრევები ანალიზისთვის გაგზავნა და ამ ეტაპზე გადაჭრით ვერაფერს იტყვის. უფოლოგთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა რას კელეტმა კი აღნიშნა, რომ რეგიონში უდავოდ უჩვეულო მოვლენები მოხდა და ამის ნათელმხილველებიც არსებობენ. „ერთმა ცაში უცხო ობიექტი შენიშნა, რომელიც თავდაპირველად თვითმფრინავად ჩათვალა, მეორემ კი გაუგებარი და ძალიან ხმამაღალი ბგერები გაიგონა", — ამბობს კელეტი.

შვედეთში, ნობელის კომიტეტში ახალი სკანდალი აგორდა. სულ ცოტა ხნის წინ მედიცინის, ფიზიკისა და ქიმიის დარგში პრემიის მიმნიჭებელი კომიტეტის სამი წევრი, ჩინური მხარის მიწვევით პეკინს ესტუმრა, რათა მათთვის პროცედურები და ლაურეატების შერჩევის კრიტერიუმები გაეცნო. ამ ნაბიჯმა სერიოზული ეჭვები აღუძრა კორუფციასთან მებრძოლი განყოფილების პროკურორს, რადგან ყოველგვარი ხარჯები ჩინურმა მხარემ გაიღო, ამ ქვეყნის წარმომადგენელი კი უკვე 50 წელია ლაურეატი არ ყოფილა. პროკურორმა განაცხადა, რომ დაიწყო გამოძიება, რათა დაადგინოს, ხომ არ იყო ეს ჩინელების მხრიდან არჩევნებზე ზემოქმედების მცდელობა. თუ კომიტეტის წევრებს ოფიციალურ ბრალდებას წაუყენებენ, მათ დიდი ფულადი ჯარიმა ან ორწლიანი პატიმრობა ემუქრებათ. შვედეთის მეცნიერებათა სამეფო აკადემიის მდივანმა ამ მოგზაურობას უადგილო უწოდა და დაამატა, რომ კომიტეტის წევრები არ უნდა აღმოჩნდნენ ისეთ სიტუაციაში, რაც მსოფლიოს მათი გადაწყვეტილებების ობიექტურობაში დააეჭვებს.

დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში ენთუზიასტთა ჯგუფმა, მასაჩუსეტის ტექნიკური ინსტიტუტის სპეციალისტებთან ერთად, „ფეხით მოსიარულე" სახლი შექმნა. ამ სამმეტრიან შენობას ავტონომიური ელექტრომომარაგება და ჰიდრავლიკური ფეხები აქვს, რის წყალობითაც ნებისმიერ ზედაპირზე შეუძლია გადაადგილება. უჩვეულო კონსტრუქციის ავტორებმა განაცხადეს, რომ ასეთი შენობა წყალდიდობასაც კი გაუძლებს. შიგნით, „სახლში", სასტუმრო ოთახი, სამზარეულო, ტუალეტი, საწოლი და ღუმელია განთავსებული. მთავარი კი ის კომპიუტერია, რომელიც ჰიდრავლიკურ ფეხებს მართავს. კონსტრუქციის აშენებას ორი წელი დაჭირდა და მასზე მხოლოდ სამოცი ათასი დოლარი დაიხარჯა.

ფრანგმა კარდიოქირურგმა ალენ კარპენტიერმა შექმნა ხელოვნური გულის მოდელი, რომელსაც უკვე სამი წლის შემდეგ ნებისმიერ პაციენტს გადაუნერგავენ. ეს მოწყობილობა გულის ფეთქვას და სისხლის მიმოქცევას ელექტრონული სენსორებით მართავს. ავტორის აზრით, ახალი მოდელი ბუნებრივ გულთან არსებულ ყველა ანალოგზე უფრო დაახლოებულია. შეგახსენებთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ხელოვნური გულის ორი მოდელი უკვე არსებობს, მაგრამ ორივეს სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნია. ერთ მათგანს სადენები კანიდან გარეთ აქვს გამოყვანილი, მეორე კი თრომბების გაჩენის საშიშროებას წარმოქმნის. ფრანგი სპეციალისტის მიერ შექმნილ სენსორულ ხელოვნურ გულს შეუძლია გულის ფეთქვის შეცვლა იმის მიხედვით, პაციენტი ისვენებს თუ სეირნობს.



შოტლანდიის უნივერსიტეტის სენტ-ენდრიუს მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ორანგუტანგებმა ფულის ფასი იციან და პარტნიორებისთვისაც სიამოვნებით შეუძლიათ „დაიხარჯონ", იმ შემთხვევაში, თუკი მათგანაც იგივეს მიიღებენ. ექსპერიმენტის მანძილზე ორანგუტანგებს რამდენიმე ჟეტონი მისცეს. ერთი ტიპის ჟეტონით იგი თავისთვის ბანანს „ყიდულობდა", მეორეთი პარტნიორისთვის, მესამეს კი საერთოდ ფასი არ ჰქონდა. ექსპერიმენტის დროს გამოიკვეთა, რომ დედალი თავდაპირველად პარტნიორისთვის მეტს „ყიდულობდა", მამალი კი მხოლოდ დროდადრო „უმასპინძლდებოდა". შემდეგ დედლის „საჩუქრები" შემცირდა, მამალი კი სწორედ ამ დროს გააქტიურდა და მთელი „ფული" დედალს დაახარჯა. საბოლოო ჯამში, ურთიერთდასაჩუქრება გათანაბრდა. მხოლოდ ადამიანები როდი ითვლიან რამდენი გასცეს და უკან რამდენის მიღება სურთ. ორანგუტანგებიც ასე იქცევიან", – გაიცინა ექსპერიმენტის ერთ-ერთმა მონაწილემ და აქვე დაამატა — შიმპანზეები და გორილები ასეთი ნიჭიერები არ აღმოჩნდნენო.



საიტ Dabilif – ის მფლობელებმა ახალი მომსახურება მოიგონეს. ზედმეტად დაკავებულ ადამიანებს, ვისაც წიგნების კითხვის დრო აღარ რჩებათ, ახლა შესაძლებლობა ექნებათ კლასიკური ნაწარმოებები ელექტრონული ფოსტით ნაწილ-ნაწილ მიიღონ. ასეთი წერილი სამუშაო დღის მანძილზე მხოლოდ ერთხელ მოვა და მის წაკითხვას ხუთ წუთზე მეტი არ დასჭირდება. მაგალითად, ჟიულ ვერნის „ოთხმოცი დღე მსოფლიოს გარშემო" 82 წერილადაა დაშლილი, ტოლსტოის „ანა კარენინას" წაკითხვას კი ორი წელი დასჭირდება, რადგან 430 წერილადაა დაშლილი. თუ მოუთმენელ მკითხველს გაგრძელების ნახვა მაშინვე მოუნდება, მომსახურებაში ესეც გათვალისწინებულია. საკმარისია, მოითხოვოს და შემდეგ წერილს მაშინვე მიიღებს. იმ დროისათვის, როცა პროექტი ოფიციალურად ამუშავდა, საიტზე უკვე 370 გამზადებული ნაწარმოები იდო და მას 50 000 მკითხველი უკვე ჰყავდა. საცდელი ნიმუშების დაგზავნა ხომ რამდენიმე თვით ადრე დაიწყო. საიტი მომხმარებელს დიდ არჩევანს სთავაზობს, კარლ მარქსით დაწყებული, ჩარლზ დიკენსით, დანტე ალიგიერითა და არტურ კონან-დოილით დამთავრებული. სამომავლოდ, საიტის მფლობელები კატალოგის უახლესი გამოცემებით შევსებას გეგმავენ. ბოლო მონაცემებით კი ყველაზე პოპულარული ჯეინ ოსტინის, ლევ ტოლსტოის, თეოდორე დოსტოევსკის და ჩარლ დიკენსის ნაწარმოებებია.

იაპონიის სცენაზე რობოტი-მსახიობი გამოჩნდა. შემქმნელებმა განაცხადეს, რომ სპეციალური პროგრამების წყალობით ამ მოდელს არა მხოლოდ სხვა მსახიობებთან ერთად სცენაზე გადაადგილება, არამედ დიალოგებში მონაწილეობის მიღებაც კი შეუძლია. სპექტაკლის პრემიერა ოსაკას უნივერსიტეტში შედგა. სიუჟეტის მიხედვით, ახალგაზრდა წყვილის სახლში ორი რობოტი „ცხოვრობს", ერთ-ერთ მათგანს კი შრომა ძალიან მობეზრდა. ეს რობოტი თავის ხვედრს დაუსრულებლად უჩივის, ადამიანებს ეკამათება და ცხოვრებაში თავის ადგილს მოითხოვს. სპექტაკლი მხოლოდ ოცი წუთი გრძელდება, მაგრამ ავტორებს იმედი აქვთ, რომ 2010 წლისთვის სრულფასოვან წარმოდგენას გამართავენ. მეცნიერები ხუმრობენ, ალბათ, ცოტა ხანში რობოტი-მსახიობები ავტოგრაფებსაც ჩამოარიგებენ და პაპარაცებსაც დაემალებიანო.

ქალაქ სინგაპურში დაახლოებით ოცი ათასი ტაქსი დადის, მაგრამ მოსახლეობა სწორედ იმ მანქანას ირჩევს, სადაც მძღოლი მგზავრს საყვარელი სიმღერების ჩამოთვლას სთხოვს, მუსიკას ჩაურთავს და სანამ დანიშნულების ადგილამდე მიიყვანს, მას შეუძლია იმღეროს და იმღეროს. „მუსიკალური ტაქსი" – ასე ეძახიან ამ მანქანას, რომელსაც მთელი სინგაპური იცნობს. კარაოკეს სისტემის დამონტაჟება მის მფლობელს ათას დოლარამდე დაუჯდა, მაგრამ ხარჯს არ ნანობს. მისი აზრით, იდეამ გაამართლა. ახალი წამოწყება სხვა ქვეყნების მძღოლებსაც მოეწონათ და მუსიკალური მანქანები უკვე ამსტერდამსა და ნიუ-იორკშიც გამოჩნდა.

მასალა მოამზადა მანანა მიქელაძემ

მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი ლიკა პეტრიაშვილი
კომპიუტ. უზრუნველყოფა თამარ ქავჟარაძე

რედკოლეგიის წევრები:
ნოდარ ბელქანია, გია მაჩაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნანა ჭიღლაძე, ნოდარ ხადური, თემურ ნადარეიშვილი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11°
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
22 36 62